



ქართლკუნძ

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის პეტიოდული გამოცემა.
შემოსავა ბავშვის 2010 წლის 5 ივნისიდან, სამ ივნისი ერთხელ.

15 აპრილი 2015. № 1-2 (18-19)



„მიმუშავან მამუშალენი ებე შენინი

და მუნ მნებავს გონიეროთა“

წმიდა მაზა მირიანი


იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის
მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზების მიტროპოლიტის,
უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით

„როცა ვფიქრობთ იმაზე, თუ რა არის ქართუ-
ლი იდეა, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველი
ერის დანიშნულებაა – იქადაგოს ჭეშმარიტი სარ-
წმუნოება. ხომ არსებობს წინასწარმეტყველება,
რომ საქართველო, ქართველი ერი უკანასკნელ
უამს გაბრწყინდება. ვიცით სახარებიდან, რომ
უკანასკნელ უამს ყველგან დაეცემა რწმენა, ზნეო-
ბა, საქართველო კი ღვთის მადლითა და წყალო-
ბით გაბრწყინდება და, ჯილდოდ ამისა, როგორც
დიდი მამა და მოღვაწე ამბობს, მეორედ მოსვ-
ლის უამს მთელი ქვეყნიერება განიკითხება „ქა-
რთულითა ენითა“. ეს იქნება კიდევ ერთი მადლი,
რომელსაც მოგვანიჭებს უფალი. მადლობას ვწი-
რავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომელ-
მაც ინება, რომ იყოს პატრონი საქართველოსი...“

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

© ყველა სავტორო უფლება დაცულია. ქურნალ „მაყვლოვანში“ გამოქვეყნებული
ტექსტებისა და ფოტომასალის გამოყენება აკრძალულია რედაქციის ნებართვის გარეშე.

ISSN 1987-5207
უაპ (UDC) 27 + 271.2
გ – 407



შინაარსი

ქრისტე ადსდგა.....	4
მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის.....	7
გალობა უფლისა ჩვენისა მიმართ იესო ქრისტესა.....	8
მდგდელმოწამე კირიონი II	
მართლმადიდებელი საქართველოს შიიტ მუსულმანებთან საუკუნეობრივი ბრძო- ლის ბოლო ეპიზოდი.....	12
წმიდა მდგდელმთავარი ნიკოლოზ სერბი რა არის ევროპა?.....	15
ეპისკოპოსი იოანე სმოლენსკელი ადამიანის გარდაცვალება სიკვდილისა- გან მარადიულ ცხოვრებაში.....	19
ლირსი ნილოს სინელი ცალკეული აზრები და გამონათქვამები..	22

წმიდა მთის წმიდა კინოტის წერილი პა- ტრიარქ ბართოლომეოსს.....	26
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე) საყოველთაო სამსჯავრო.....	29
იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი) წუთისოფელი წარმავალია.....	31
ალექსანდრე მარუაშვილი სარწმუნოება და მეცნიერება.....	33
შორენა გულიაშვილი დირბის ღმრთისმშობლის მიძინების მონ- ასტერი.....	39
მძლე ნიში ჯვარისაი.....	43
ფოტოქრონიკა.....	44

რედაქტორი:

მონოზონი ანა (ნიაური)

სარედაქციო კოლეგია:

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)

რედაქტორის თანაშემწეფე:
მონოზონი ბარბარე (იაკობაძე)

კომპიუტერული მომსახურება:
ლია არევაძე

მისამართი: მცხეთის სამთავროს

წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.

მირიან მეფის ქუჩა N 3

ტელ: 893 76 31 87; 893 30 07 07

ელ.ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com

ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700



ქრისტე აღსდგა! ჟეჟარიტად აღსდგა!

კონდაკი, ხმა ჭ (8)

დაღაცათუ ნებსით თვისით საფლავად შთაჭხედ უკუდავო, არ-
ამედ ჯოჯოხეთისა იგი ძალი დაარღვიე, და აღჭხდეგ, ვითარცა მძლე,
ქრისტე დმერთო, ხოლო მენელსაცხებლეთა დედათა ხარებად მიპ-
მადლე, და მოციქულთა მშვიდობად მიანიჭე, რომელმან დაცემულთა
მიეც აღდგომა.

გალობა ზ (7), სძლის-პირი

რომელმან ყრმანი იხსნნა სახმილისაგან, რაჟამს განკაცნა, ივნო,
ვითარ მოკუდავმან, და ვნებითა მოკუდავსა, უხრწნელებისა შეპ-
მოსა სამოსელი მხოლომან კურთხეულმან, დმერთმან მამათამან, და
ზესთა ამაღლებულმან:

დედანი დუთივგანბრძნობილნი შემდგომად შენსა, სრბით მირონითა მიგდევდეს ღმერთსა, და ომელსა მოკუდავად გემიებდეს აღდგომილსა და ცხოველსა, თაყუანისგცეს და პასქა ესე საიდუმლოსა მოწაფეთა ახარეს:

სიკუდილითა სიკუდილისა შემუსრუასა ჯოჯოხეთისასა დდეს ვდდესასწაულობთ, დასაბამსა და მიზეზსა ახლისა ცხოვრებისასა უგალობთ, მხოლოსა კურთხეულსა, ღმერთსა მამათასა, და ზესთა აღმატებულსა.

განმანათლებელი, თვით-ხმოვანი

ხორცითა მიიძინე, ვითარცა მოკუდავმან მეუფემან და უფალმან და მესამესა დღესა აღჭედუგ, და ადამი თანა-აღადგინე ხრწნილებისაგან, და სიკუდილი დაპხსენ, პასექო უხრწნელებისაო, სოფლისა მაცხოვარო.

აქებდითსა ზედა, ხმასა ზედა ა (1)

რომელმან ჯოჯოხეთი წარმოსტყუენე, და კაცებად აღადგინე აღდგომითა შენითა ქრისტე, დიოსმყუენ ჩუენ წმიდით გულითა, გალობად და დიდებად შენდა.

დასდებელნი პასექისანი, ხმა ე (5)

ხილვით მოვედით დედანო მახარებელნო, და სიონს არქუთ, მიღე ხარება სიხარულისა ჩუენგან აღდგომისათვის, იშუებდ და განსცხოებოდე იერუსალიმ, და იხილე ქრისტე მეუფე შენი, ვითარცა სიძე სასმლოთ, გამომავალი საფლავით, და დუთივ-ბრწყინვალედ მივეგებოდეთ.

დიდება, აწდა ხმა ე (5)


აღდგომისა დღე არს – განვპტოწყინდებოდეთ დდესასწაულსა ამას, და ურთიერთარს შევიტკბოთ, და ვპრქუათ ძმათა ჩუენთა, მოძლეობაცა ჩუენთა შეუნდოთ ყოველი აღდგომასა, და ესრეთ დუთივ-ბრწყინვალედ დაღად-ვჰყოთ:

ქრისტე აღშედგა მკუდრეთით, და სიკუდილითა, სიკუდილი დაპსორგუნა, და მყოფთა საფლავისათა ცხოვრება მიჰმადლა.

განტევება

ქრისტე აღჭედგა მკუდრეთით, სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნუელი, და საფლავების-შინათა ცხოვრებისმიმნიჭებელი, ჰეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თუისისათა, და ყოველთა წმიდათათა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ-არს და კაცო-მოყუარე.

ზატიკი



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
უწმიდესი და უნეტარესი ილია II

* * *

„ყოველი წლის აღდგომა დვთისადმი მადლიერების
დღე იქნება. ბედნიერია ის ადამიანი და ის ერი,
რომელიც მადლობს უფალს.


მადლობა ღმართს ყველაფრისათვის

- ჩვენს ერს ყოველთვის პქონდა მადლიერების გრძნობა ღვთისადმი. ამის დადასტურებაა საუკუნეთა მანძილზე, განსაკუთრებით კი ყველაზე ღილი გაჭირვების უამს, – აშენებული ეკლესია-მონასტრები.
- ღვთისადმი მადლიერების გამოხატვა საჭიროა როგორც მთელი ერისთვის, ისე ცალკეული პიროვნებისთვის, რადგან ასეთი დამოკიდებულება მადლის მოპოვების უმარტივესი და ერთერთი უმთავრესი საშუალებაა.
- სახარებაში ვპითხულობთ, რომ განკურნებული ათი კეთროვანიდან მხოლოდ ერთი, სამარიტელი, დაბრუნდა მაცხოვართან მადლობის სათქმელად და ამიტომაც ღირსი გახდა შემოქმედი ღმერთი შეეცნო და ცხონების გზა ეპოვა, ხოლო დანარჩენმა ცხრა განკურნებულმა კეთროვანმა, რომელნიც აბრაამის შთამომავალნი იყვნენ და „სასუფევლის ძედ“ იწოდებოდნენ, უმადურობით დაკარგეს უფალი.
- წმიდა მამები გვასწავლიან, რომ საიდუმლო სერობის შემდეგ, ღვთის უდიდეს საიდუმლოს ნაზიარებ იუდას გულითადი მადლობა რომ ეთქვა იქსო ქრისტესთვის, იმ საშინელ დაცემას თავიდან აიცილებდა. ამიტომაც, იუდა დალატთან ერთად, უმადურობის სიმბოლოდაც მიიჩნევა.
- ჩვენდა სამარცხვინოდ, ხშირად მადლიერებას, ადამიანებისადმი უფრო ვიჩენთ, ვიდრე უფლის მიმართ. მოჩვენებით მადლიერებას კი, როგორც ყველაფერ ფარისევლურს, აზრი არა აქვს და სისაძაგლეა იგი ღვთისა და კაცის წინაშე.
- უმადურობა ამპარტავანთა, ანუ ყველაზე დიდი და საშინელი ცოდვის მქონეთა, ერთ-ერთი თვისებაა; მაშინ, როდესაც, გულწრფელი მადლიერება თავმდაბლობის გამოხატულებაა და ასეთ ადამიანებს ახასიათებთ.
- ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ ყველაფრისათვის, მათ შორის ავადმყოფობისა და სხვადასხვა განსაცდელთათვის, რადგან უფლის განგებულებით აღესრულება ყოველი და იგი აუცილებელია ჩვენი სულიერი აღზრდისა და ცხონებისათვის.
- მართლმადიდებელი ეკლესიის უთვალსაჩინოებმა მოღვაწემ ღვთისადმი მადლიერების საუკეთესო მაგალითი მოგვცა, რომელმაც გადასახლებაში მყოფმა მოუწოდა, თავის სამწყებოს და ანუგეშა ისინი ცნობილი სიტყვებით: „მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის.“
- გავიხსენოთ მართალი იობი, როგორი სიმშვიდით, მოთმინებითა და მადლიერებით მიიღო მან თავსდატეხილი დიდი განსაცდელი; სანაცვლოდ კი უფალმა ამქვეუნადვე მრავალწილად დაუბრუნა ქონებაც, დიდებაცა და პატივიც.
- „მოწყალებისა კარი განგვიღე კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დაგეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდეგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა, ამინ!“

გამოკრებილი უწმიდესისა და უნეტარესის
ილია II-ის ეპისტოლედან.

2012 წელი

GALOBA UFLISA CUENISA MIMART IESO QRISTESA



გალობა ა. ხმა ვ. სძლისპირი.

ზღუა მეწამული კუერთხმან განაპო, განხმეს სიღრმენი და უფსკრულ-იქმნეს, გზა უჭურვილთა და შეჭურვილთა მათ, საფლავ არა დამმარხუელ გუამთა. გალობით უგალობდეთ, რამეთუ დიდებით დიდებულარს, ქრისტე ღმერთი ჩუენი ცხოველი.

იესო ტკბილო, ქრისტე იესო, სულგრძელო სულისა ჩემისა წყლულებანი განკურნენ იესო, და დაატკბე გული ჩემი მრავალმოწყალე, გევედრები იესო მაცხოვარო ჩემო, რათა გადიდო მე ცხოვნებულმან.

იესო ტკბილო, ქრისტე იესო, განმიღე სინანულისა კარი, კაცომოყვარე იესო ჩემო, შემიწყნარე მე შენდა მოლტოლვილი,

და მხურვალედ მოხოველი იესო მაცხოვარო ჩემო, ცოდუათა მოტევებისა.

იესო ტკბილო, ქრისტე იესო, გამომიტაცე ხელთაგან მტერისა მის ბელიარისათა იესო და დირსმყავ, მარჯუენით წარდგომად დიდებისა შენისა, იესო მაცხოვარო ჩემო, ნაწილსა მარცხენეთასა, დამხსნელო ჩემო.

დიდება

იესო ტკბილო, კაცომოყვარეო, ქრისტე იესო, შემინდუენ მე ცოდვით დაცემანი სულისა ჩემისანი. და პყავ გული ჩემი იესო, სავანედ შენდა თანა მამით და სულით წმიდითურთ.

აწდა

იესოს ქრისტეს, ღმრთისა მშობელო, ევდრე უხმართა ამათ მონათა შენთათვის ყოვლადწმიდაო, რათა ლოცვითა შენითა სატანჯუელთაგან უბიწოო, ბიწიანქმნილნი ესე გვისხნეს და შევეტკბნეთ დიდებასა სამარადისოსა.

გალობა გ. სძლისპირი

სამებაო წმიდაო, აღამაღლე რქაო ეკლესიისა დღეს, მიუდრეკელად უზესთაეს ბუნებათა სიმაღლესა ზედა, სარწმუნოებისა შენისასა, საფუძველსა შეურყეველსა. და მას შინა განმაძლიერენ.

იესო კაცომოყვარეო, იესო ჩემო, მონისაგან შენისა, რომელი ესე გიღადადებ სინანულითა, დამისხენ მე იესო დასჯისა და ტანჯვისაგან, მხოლოო სულგრძელო უფალო, იესო ტკბილო, მრავალმოწყალე.

აღმადგინე მე იესო ჩემო, მონაი შენი დაცემული, იესო ჩემო, მაცხოვნე მე მონანული, იესო ჩემო, და გეენისაგან მისხენ, იესო დასჯისა და ტანჯვისაგან, მხოლოო სულგრძელო, უფალო, იესო ტკბილო, მრავალმოწყალე.

დიდება

უამი, იესო ჩემო, რომელი მომეც ვნებათა შინა წარგვლე, იესო ჩემო, ამისთვის ნუ განმაგდებ მე, იესო ჩემო, არამედ კუალად

მომიწოდე გევედრები შენ მეუფეო, იქსო
ტკბილო და მაცხოვნე მე.

აწდა.

ქალწულო, მშობელო იქსოს ჩემისაო,
ევედრე მას ხსნად ჩუენდა გეენისაგან ცა-
ცხლისა, მხოლოდ ღმრთისა მტვირთველო,
შესავედრებელო ჭირვეულთაო, ღვთივმი-
მადლებულო, და ლირსმჟავ მე ცხოვრე-
ბასა დაუსრულებელსა.

წარდგომა ხმა გ.

მაცხოვარო ჩემო იქსო, რომელმან
აცხოვნე უძლები იგი, მაცხოვარო ჩემო
იქსო, რომელმან შეიწყნარე მეძავი იგი, აწ
მეცა შემიწყნარე, იქსო მრავალმოწყალეო,
მაცხოვნე, მოწყალე მექმენ პოი, იქსო ქუ-
ლის მოქმედო, ვითარცა მანასევ სახიერო
იქსო ჩემო, ვითარცა მხოლოდ კაცომოყვა-
რე ხარ.

გალობა დ. სძლისპირი

რაჟამს წინასწარმეტყველმან იხილა
საიდუმლო დაფარული, განკვირვებულ-
მან დაღადყო. რომელმან დაპსდევ წყა-
ლობით სიყუარული მტკიცე მამაო და ძე
შენი მხოლოდ შობილი მოეც ძეთა კაცოა
მომტევებელად ცოდუათა.

განკეურნე იქსო ჩემო სულისა ჩემისა
წყლულებანი, იქსო ჩემო გევედრები, რათა
გამომიტაცო მე, იქსო ჩემო სახიერო, ხელ-
თაგან სულთა განმხრწნელთა ბელიარის-
თა, და მაცხოვნე მე.

შეგცოდე იქსო ჩემო, სახიერო იქსო
ჩემო, მაცხოვნე მე მოლტოლვილი საფა-
რველისა შენისა მიმართ, იქსო ტკბილო,
სულგრძელო და კაცომოყვარეო და სა-
სუფეველსა შენსა ლირსმჟავ მე.

დიდება

არა რომელმან შეგცოდა, იქსო ჩემო,
ვითარცა მე შეგცოდე უბადრუებან და
უღირსმან, არამედ კუალად შენ გევე-
დრები, იქსო ჩემო, მაცხოვნე, და მომანიჭე
ცხოვრებისა მის დამგვიდრება.

აწდა

შენ, ყოვლადსაგალობელო იქსო
ქრისტეს მშობელო, მას ევედრე რათა ვიხ-
სნეთ სატანჯველთაგან, ყოველნივე მგა-
ლობელი შენი, რომელნიცა ჭეშმარიტად
ღმრთისმშობლად გხადიან და გადიდებენ
შენ.

გალობა ე. სძლისპირი.

ბნელისაგან ცოდუათასა, გიღაღადე-
ბენ შენ სულნი ჩუენნი, მრავალმოწყალეო
ღმერთო, ნათლითა მით მიუაჩრდილებელ-
ითა, განგუანათლენ და წარგვიმართენ სვ-
ლანი ჩუენნი, მაცხოველო მშვიდობისაო.

შენ ხარ სიქადული იქსო, გონებისა
ჩემისა და სასო განწირულისა სულისა,
იქსო ჩემო, მიხსენ დასჯისა მისგან, რომე-
ლი ესე გიხმობ, მაცხოვნე მე იქსო ქრისტე,
უბადრუკი ესე.

ყოვლადვე იქსო ჩემო, გნებათა მიმართ
უკეთურებისათა შთავრდომილი გიღ-
აღადებ, იქსო ჩემო, შეწევნისა ხელი მო-
ჰყავ, და აღმომიწოდე, რომელი გიღაღადებ.
მაცხოვნე, იქსო ჩემო ტკბილო.

დიდება

გონებისა მწიკულთა მქონე, იქსო ჩემო,
გიღაღადებ შენ, განპსწმიდე მწიკული
ცოდუათა. მიხსენ სიღრმისაგან ბოროტი-
სა, უმეცრებით ჰშთავრდომილი ესე, სახ-
იერო იქსო ჩემო, გევედრები.

აწდა

ქრისტეს მშობელო, ქალწულო ღმრთი-
სა დედაო, მას ევედრე აწ, რათა გვიხსნეს
ყოველნივე მორწმუნენი და ერნი დასჯის-
აგან, რამეთუ შენსა გარეშე შუამდგომელი
და მხსნელი სხუა არავინ ვიცით.

გალობა ვ. სძლისპირი.

მუცლადიდო იონა ვეშაპმან და არა
განპსრწნა მან იგი, რამეთუ მით მოასწავა,
სახე სამ დღე დაფლვისა შენისა, რომელ-
მანცა დაფლუა თავსიდვა ჩუენთვის სახ-
იერ. და ეტყოდა იგი მცუელთა მათ, პოი,
ცრუნო, წყალობაი თქუენი დაუტევეთ
თქუენ დღეს.

იქსო ჩემო, ქრისტე მრავალმოწყალე, აღ-
გიარებ შემიწყალე, პოი იქსო მაცხოვარო,
სრწნილებისაგან მიხსენ, იქსო ჩემო, რა-
მეთუ არავინ იქმნა ესრეთ უძლებ, ვითარცა
მე ვნებული, პოი, კაცომოყვარეო. არამედ
შენ იქსო ტკბილო, მაცხოვნე მე.

დიდება

იქსო ჩემო, მექავსა მას და უძლებ-
სა, მანასეს და მეზუერესა, და ყოველ-
თავე მცოდველთა, პირველთა და შემდ-

გომთა, წარვჭხედ იესო ჩემო, ვნებათა და სიბილწეთა მიერ. კუალად ავაზაკსა და ნინეველთა, იესო ტკბილო, სინანულსაცა მათსა ღირმყავ.

აწდა

იესოს ჩემისა ქრისტეს ღმრთისა მშობელო, ყოვლადწმიდაო ქალწულო, სახლო ღმრთისაო მარიამ, მხოლო შეუგინებელო, შეგინებული ესე და კეთილთაგან ყოვლად ცალიერი, აწ ლოცუათა შენთა უსუპითა განმწმიდე, და შეურვებულსა ნუ დამაგდებ, კურთხეულო.

კონდაკი. ხმა ც

იესო ტკბილო, სოფლისა ნათელო და სიტკბოებაო, დაბნელებულისა სულისა ჩემისა თუალნი განმინათლენ, ძეო ღმრთისაო, ღმრთივბრწყინვალითა მით ნათლითა შენითა, იესო მწყემსო ტკბილო, მომიძიე რათა გიგალობდე, ნათელსა მაგას დაუდამებელსა.

გალობა ზ. სძილსპირი.

ვჰსცოდეთ და უსჯულო ვიქმნენით და სიცრუე ვჰყავთ წინაშე შენსა, და არა დავიმარხეთ აწ, არცა ვჰყავთ მეუფეო, ვითარცა იგი შენ მამცენ ჩუენ. გარნა ნუ მიმცემ ჩუენ სრულიად მაღალო, მამათა ჩვენთა ღმერთო.

ქრისტე იესო ჩემო, არა რომელმან ჰსცოდა ქუეყანასა ზედა საუკუნითგან, იესო ჩემო, ვითარცა მე ვჰსცოდე უბადრუტმან და უძღებმან. ამისთვისცა გიღაღადებ იესო ჩემო და გევედრები შენ, მოწყალე მექმენ მოწყალეო იესო, უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო.

იესო ქრისტე მრავალგზის აღგითქუ ვნებულმან სინანული და გეცრუვე უბადრუტკი, და აწ კუალად უგრძნობელად მყოფი ესე გიგალო შენ, სული და გონებაი ჩემი განაბრწყინვე, ქრისტე სახიერო, კურთხეულო, უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო.

დიდება

ქრისტე იესო შენ გიღაღადებ, შიშსა მას შენსა შემსჭუალე გული ჩემი, იესო ჩემო, წარმიძელუ მყუდროებისა ნავთსაყუდელად, იესო ჩემო, რათა ცხოვნებული გიღაღადებდე, მოწყალე მექმენ მე

კურთხეულო იესო, უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო.

აწდა

ქრისტეს იესოს მშობელო, სძალო საშინელო უმეტეს ბუნებათასა, ევედრე ყოვლადწმიდაო მოტევებად ყოველთა ცოდუათა ჩემთა, ქალწულო, რათა გირწოდე ცხოვნებული, კურთხეულ ხარ დედოფალო, ღმრთისა ხორცითა მშობელო.

გალობა ც. სძლისპირი.

წმიდანი შენი ყრმანი ბაბილონს შინა ხერუკიმთა მისგავსებულნი, სამსა წმიდასა გალობასა იტყოდეს, გაკურთხევთ შენ, გიგალობთ, და აღგამაღლებთ ყოველთა ღმერთსა.

შენ გევედრები, იესო ჩემო, ვითარცა მეძავი იგი, იესო, იხსენ მრავალთა ცოდუათაგან, ეგრეთვე მე, იესო ჩემო, მიხსენ, და წმიდა ჰყავ გონებაი ჩემი შეგინებული.

მიგჰსდევდ, იესო ჩემო, პირუტყეუბრივთა გემოთა, და პირუტყვად ვჰსხან ჭეშმარიტად, იესო ჩემო, ვნებითა მივემსგავსე მაცხოვარო ჩემო იესო, პირუტყვებისაგან მიხსენ.

დიდება

ჰშთავვარდი იესო ჩემო, განმხრწელთა ავაზაკთა შორის, განმეძარცუა სამოსელი ღვთივექსოვილი, და მდებარე ვარ წყლულებით, და გუემულსა ამას დამასს ზეთი და ღვინო წყალობისა.

აწდა

იესოს ღმრთისა ჩემისა მტვირთველო, ღმრთისმშობელო, გამოუთქმელად მას ევედრე ხსნად ჩუენდა ჭირთა და ურუათაგან მორწმუნეთა და მგალობელთა შენთა, ქალწულო.

გალობა თ. სძლისპირი.

შენ მხოლოდ სანატრელ ხარ, თესლებსა შორის, ქალწულო, რამეთუ გამოგზობრწყინდა შენგან ნათელი მსხდომარეთა ბნელსა მას შინა და განანათლნა სულნი ჩუენნი. ამისთვის, ღმრთისმშობელო, სამართლად გადიდებთ.

თანაწარვჭხედ მანასეს, მეზვერესა და მეძავსა, და უძღებსა, მოწყალეო იესო ჩემო, და ავაზაკსა საქმეთა მათ შინა სირცე-

ვილისა და უადგილოსათა იქსო, არამედ შენ იქსო ჩემო, ისწრაფე და მაცხოვნე მე.

ადამისითგან, იქსო, ყოველთავე მცოდუ-
ელთა უწინარეს პსჯულისა და პსჯულსა
შინა, და შემდგომად პსჯულისა მძღვა ვა-
მენ მადლსა ვნებათა მიერ უბადრუკი, არ-
ამედ შენ იქსო, სასჯელითა მით შენითა
მაცხოვნე მე.

დიდება

ნუ განმეოფ მე იქსო, გამოუთქმელისა
მის დიდებისა შენისაგან, ნუმცა მექმნების
ნაწილი იგი მარცხენე ტკბილი, არამედ
მარჯუენით ცხოვართა თანა შენთა შემ-
პროე, ქრისტე იქსო ჩემო ტკბილო და გან-
მისუენე.

აწდა.

იქსოს დმრთისა მშობელო, რომლისა
მტვირთუელ იქმენ, მხოლოდ გამოუცდე-
ლო ქორწილისაო, ქალწულო, მოწყალე
ჰყავ იგი, რათა გვიხსნეს ჭირთაგან, და
ცეცხლისა მისგან მერმისა მოსლვადისა.

დასდებელნი სინანულისანი უფლისა
ჩუენისა

იქსო ქრისტეს მიმართ: ხმა ვ.

ყოველი სასოება ჩემი შენზედა დამიძს,
იქსო, ყოვლადტკბილო, სულთა და გონ-
ებათა ჩუენთა წმიდამყოფელო, მეუფეო
ქრისტე, მრავალმოწყალე იქსო, მაცხოვნე,
მაცხოვარო ჩემო, ყოვლადდლიერო, ნუ
დამიტევებ, მაცხოვარო ჩემო, მიხსენ ყოვ-
ლისავე სატანჯველისაგან, იქსო ჩემო,
დირსმყავ, ცხოვნებულთა შენთა ნაწილ-
სა, იქსო ჩემო ტკბილო, და გუნდსა მას
რჩეულთა, შენთასა შემრაცხე, იქსო კაცო-
მოყუარეო.

იქსო ყოვლადტკბილო, მოციქულთა
დიდებაო, მოწამეთა მეუფეო, სიქადულო
ჩემო, ყოვლადძლიერო იქსო, მაცხოვნე
მაცხოვარო ჩემო, შუენიერო და სასურვე-
ლო, ქრისტე, შემიწყალე, ოხითა მშობელი-
სა შენისათა, და ყოველთა წმიდათა შენთა-
თა, მოციქულთა და წინასწარმეტყუელთა
და წმიდათა ზეცისა ძალთა მეოხებითა,
იქსო, სამოთხისა შუებასა დირსმყავ, იქსო,
კაცომოყუარეო.

დიდება

იქსო, ყოვლადტკბილო, მონაზონთა დიდე-
ბაო, მმარხუელთა სიწმიდეო, და შემამ-
კობელო მოღუაწეთაო. იქსო მაცხოვნე,
მაცხოვარო ჩემო, სახიერო და გუელისა
მისგან ხელთასა განმარინე იქსო, და აღ-
მომიყვანე მღვიმით ქუესკნელით, და მარ-
ჯუენით ცხოვართა შენთა თანა შემრაცხე,
იქსო სახიერო, მაშურალი და ტვირთ-
მძიმეო.

აწდა.

ნუ მიმანდობ კაცობრივსა განზრახ-
ვასა, ყოვლადწმიდაო დედოფალო, და
დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა ნუ დამაგ-
დებ, არამედ მეოს გვეყავ და გვაცხოვნენ
ჭირვეულნი, რამეთუ შემწე ხარ ყოვლად-
ძლიერი, ქალწულო, ღმრთისა დედაო, და
მტერთა დამცემელი და უცხო თესლთა
მომსრველი. უქმენ თანაშემწე ღმრთივ-
დაცულსა ერსა ჩუენსა და სრულიად
საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტ-
როპოლიტსა, დიდსა მეუფესა მამასა ჩვენ-
სა ილიას, და ყოველთა მართლმადიდე-
ბელთა ქრისტიანეთა, ამინ.

MRVDELMOWAME KIRION II (SAZAGLISVILI)

MARTLMADIDEBELI SAQARTVELOS SIIT MUSULMANEBTAN SAUKUNE OBRIVI BRZOLIS BOLO EPIZODI

წინამდებარე წერილი წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II-მ გამოაქვეყნა 1895 წელს, უკრნალ „Пастыр“-ში, აღა-მაჟმად-ხანის მიერ საქართველოს სამეფოს აოხრების 100 წლისთავთან დაკავშირებით (10-20 სექტემბერი 1795 წ. – 10-20 სექტემბერი 1895 წ.).

წმიდა კირიონის წერილი, სამწუხაროდ, კვლავაც თანადროული და აქტუალურია. ამიტომ, განსჯისათვის ვთავაზობთ მკითხველს.

რედაქტორი

ეველა ერის ცხოვრებაში დგება ბედუ-
კულმართი ხანა. წინაპართა ხვედრით
დაღონებული შთამომავლობა ღრმა
მწუხარებით იხსენებს უდანაშაულოდ
დაღუპულთა ხვედრს და შეძრწუნებულს,
უნებური სიძულვილის გრძნობა აღეძვრე-
ბა ბოროტმოქმედთა და მათი ავტორუ-
საქციელის მიმართ. დამწუხერებული შთა-
მომავლობა კი უფლის მაღლიერია, რომ
იმ საშინელ დროს არ მოუხდა ცხოვრება.
და მართლაც, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენ-
მა და შემდგომმა თაობებმა, ან თუნდაც
ჩვენმა მოსისხლე მტერმა გამოსცადოს ის
უბედურება, რაც ჩვენმა სამშობლომ განი-
ცადა 1795 წლის 10-20 სექტემბერს.

თუკი დღეს, მშვიდობიანობის დროს
გვიყვარს ჩვენი სამშობლო, მაშინ მით
უფრო ვალდებული ვართ, რომ ბედუკულ-
მართობისა და განსაცდელის უამს კიდევ
უფრო მეტად გვიყვარდეს იგი. ჩვენი წინა-
პრების წარსულში, მათ უბედურებასა და
განსაცდელში ჩაისახა ჩვენი დღევანდელი
კეთილდღეობა.

დიახ, ჩვენთვის წმიდა უნდა იყოს წი-
ნაპართა დანაბარები და გადმოცემები;
ჩვენი სახელოვანი წინაპრების ცხოვრება
ჩვენთვის ჭკუის სასწავლებელი და სამო-

ძღვრებელი გაპვეთილია. მათი სიხარული
– ჩვენი სიხარულია; მათი უბედურება –
ჩვენი უბედურებაა. ჩვენ სიცოცხლეში და
სიკვდილშემდგომაც ადამიანისათვის წმი-
და და ძირფასი გრძნობა გვაერთიანებს;
ესაა მრავალწამებული სამშობლოსად-
მი მხურვალე და წრფელი, ცხოველი და
მარადიული სიყვარული. მისი ისტორიის
გრაგნილი ადსავსე და მდიდარია მოგონე-
ბებით, მაგრამ მასში უმეტესად ცრემლი,
მწუხარება და უბედურებაა. რაღას არ
მოესწრო დვთისმშობლის წილხვედრი
წმიდა იბერია – კეთილად, მამობრივი მზ-
რუნველობით შეწყნარებული მეზობლები-
სა თუ ფანატიკოსი მუსულმანებისაგან.
იბერიისათვის ყველაზე მძიმე XVIII საუ-
კუნის ბოლო იყო, როცა ჩვენს წინაპრებს
დვთის საშინელი რისხვა დაატყდათ თავს.
ეს იყო დრო, რომლის გახსენებისას ტან-
ში გზარავს, ენა მუნჯდება და რომელიც
ჩვენი მშობლიური ეკლესიის მატიანეში
ყველაზე შემზარავი და შავბნელი დროის
სახელით ჩაიწერება. ამ უამბა ახალი ერა
შექმნა, რომელსაც ჩვენმა ხალხმა ხოჯაო-
ბა (ხოჯობა) უწოდა. იმ საშინელმა დრომ
ჩვენი სჯულის ისტორიაში წარუშლელი
კვალი დატოვა. ეს არის ათასობით ადამი-

ანის დაღვრილი სისხლის დგარი, გადაბუ-
გული, ფერფლით დაფარული თბილისი
და ალმოკიდებული ტაძრების ცეცხლით
გადამშრალი...

მაშინ საქართველოში მეფობდა ოთხმო-
ცი წლის (1718-1798) დრმად მორწმუნე რა-
ინდი, უფლის წმიდა ტაძრების მაშენებელი
და შემამკობელი ერეკლე II, რომლის უძ-
ლეველი სიმამაცეც ცნობილი იყო სპარ-
სეთისათვის, თურქეთისა და შორეული ინ-
დოეთისათვის. საქართველოს მეზობელი
ქვეყნების ყაენები მისი ვასალები იყვნენ.
ახალციხის ფაშა მასთან მეგობრობის მო-
სურნე იყო. სპარსეთის შაპებიც კი მას-
თან კავშირს თავიანთი ხელისუფლების
საყრდენად მიიჩნევდნენ. ამ სამხედრო
გენიას ფრიდრიხ დიდიც იცნობდა და
პატივს სცემდა. ასპინძის გმირ ერეკლეს,
რომლის ნახევარსაუკუნოვანმა მეფო-
ბამ (1744-1788) გაუთავებელ ბრძოლებში
განვლო, სიცოცხლის ბოლოსაც მძიმე
განსაცდელი მოელოდა თავისი ქვეყნის
ეკლესიების დაუძინებელი მტრების – მუს-
ლიმი შიიტებისაგან, შინაუთანხმოებებისა
და ამბოხებებისაგან. მუსულმანობამ რკი-
ნის სალტე შემოარტყა მართლმადიდებელ
საქართველოს და ყოველ ღონეს ხმარობ-
და, რომ აღმოეფხვრა სახსენებელი წმიდა
ჯვარისა, რომელიც მრავალტანჯულ საქა-
რთველოსა და რუსეთს შორის ძლიერი
შემაკავშირებელი ჯაჭვი შეიძლებოდა
გამხდარიყო. ქართული ეკლესია თორმე-
ტი საუკუნის განმავლობაში ენერგიულად
ებრძოდა მუსულმანური ოკეანის მდგინ-
ვარე ტალღებს; მისი შავბნელი ძალები
ქართულ მკერდზე იმსხვრეოდა, მაგრამ
ბოლოს და ბოლოს, ქრისტიანული ქვეყანა
დაიქანცა მაპმადიანებთან მრავალსაუკუ-
ნოვან, უთანასწორო ბრძოლაში. ახლა მას
მოკავშირე და დამხმარე სჭირდებოდა.

ჯერ კიდევ აღა-მაჭმად-ხანი ყაჯარე-
ლის შემოსევამდე ცოტა ხნით ადრე, როცა
მართლმადიდებელი სამეფოს გადარჩენის
იმედმა საგრძნობლად იკლო, ჩვენს წინა-
პრებს გამუსულმანება ან გალათინება
მოელოდათ. საქართველოს მაშინდელი
პოლიტიკური ვითარებისა და მძიმე მდ-

გომარეობის გამო პირველხარისხოვანი
მნიშვნელობის საკითხი დაისვა: ჩალმ-
ისათვის მიეცათ უპირატესობა თუ რო-
მის პაპის ტიარისათვის. საქმის გულდას-
მით განხილვის შემდეგ ერთნი ამბობდნენ,
რომ ჯობდა პაპს დამორჩილებოდნენ და
საეკლესიო უნიის დახმარებით ეროვნუ-
ლობა, ქრისტიანობა და პოლიტიკური თა-
ვისუფლება შეენარჩუნებინათ. ამ თვალ-
საზრისს განსაკუთრებით ბევრი მომხრე
საზოგადოების მადალ ფენებში ჰყავდა.
ამავე სულისკვეთებით მოქმედებდნენ კა-
პუციონელი სწავლული ბერებიც, რომლე-
ბიც საქართველოს სამეფოს დედაქალაქ-
ში ცხოვრობდნენ და უნდა ითქვას, მათი
მცდელობა არ იყო წარმატებას მოკლებ-
ული. კათოლიკურ სამყაროსთან საქართ-
ველოს დაახლოების მიზნით, არაერთხ-
ელ გამზადებულან ჩვენგან ელჩები
პაპებთან და ევროპის ხელმწიფეებთან.
კათოლიკურ ეკლესიასთან უნია უსაფ-
ვარლესი თემა იყო ზოგიერთი იმდროინ-
დელი განათლებული ქართველისათვის,
ვინც განათლება და თავისი მოღვაწეობის
მიმართულებაც კაპუციონების ხელმძღვან-
ელობის ქვეშ წარმართა. პაპის მაღალი
ავტორიტეტი ცივილიზებულ ევროპაში
და მუსულმანურ სახელმწიფოებში, კათო-
ლიკების მიმართ სარწმუნოებრივი შემ-
წყნარებლობა, იმის გარანტი მოჩანდა, რომ
ქრისტიანული საქართველო, საეკლესიო
უნიის წყალობით, დაცული იქნებოდა მაპ-
მადიანთა თვითნებობისაგან და საჭიროე-
ბის შემთხვევაში, ევროპის კათოლიკურ
სახელმწიფოთა მხრიდან დახმარების იმე-
დი უნდა ჰქონოდა.

რაც შეეხება თავად საეკლესიო უნიას,
მაინცდამანც ძნელი განსახორციელებ-
ებელი არ უნდა ყოფილიყო, რადგან პაპი
მსგავს შემთხვევებში, გაერთიანების
დროს, მხოლოდ რომის მღვდელმთავრის
მეთაურობას მოითხოვდა და ხელშეუხებ-
ელს ტოვებდა ადგილობრივი ეკლესიის
წეს-ჩვეულებებს. არც ცელიბატობა იყო
აუცილებელი და არც გრეგორიანული
კალენდრის შემოღება. ასევე იყო ყოფილ
თურქეთის საქართველოშიც (ახალციხის

მაზრაში), სადაც დღესაც შემორჩენილან ოჯახის პადრები, რომლებიც საეკლესიო მსახურებას იულიუსის კალენდრით ას-რულებენ. საეკლესიო უნია, რომელიც მისით გატაცებულ პირთათვის, უმტკივნეულო საქმე უნდა ყოფილიყო, არ იყო ადვილად შესასრულებელი. ტრადიციულად მართლმადიდებლობის ერთგული ხალხი ვერ დაეთანხმება ვერანაირ სიახლეს და ამიტომ, უნია, უხეირო განაზრახი გამოდგა.

სხვები – რომლებიც სპარსეთის ან თურქეთის პროტექტორატს სცნობდნენ, ფიქრობდნენ, რომ მეფობასა და ეკლესიას ხელშეუხებლად შეინარჩუნებდნენ. მუსულმანური სახელმწიფოები, რომლებსაც რუსეთის საქართველოსთან დაახლოება და ამ დაახლოების შედეგად ჩრდილოეთის კოლონის აღმოსავლეთის საქმეებში ჩარევა აშინებდა, საქართველოს ყველაზე ხელსაყრელ პირობებს სთავაზობდა, ოღონდ კი რუსეთის მეზობლობა აეცილებინა. მაგრამ ჯვარსა და ნახევარმთვარეს, როგორც სინათლესა და სიბნელეს, ერთად ყოფნა არ შეეძლო. ამასთანავერა გარანტია იყო, რომ პირობებს წმიდათ დაიცავდნენ, მუსულმანებს ხომ წმიდა არაფერი პქონდათ. მათი წესის მიხედვით, მშვიდობა მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის ხომ მხოლოდ ათი წელი შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ამ სიმშვიდის დასაცავად კი საჭირო არ იყო საპატიო

მიზეზების ძებნა. საკმარისი იყო მუსულმანებისათვის იმის გამოცხადება, რომ ალაპისა და მისი მოციქული მუჰამედის სახელით ომს იწყებდნენ გიაურებთან. მაშინ ვერანაირი ტრაქტატები ვედარ შეაჩერებდა ფანატიკოს მუსულმანებს.

მესამენი კი, რომლებიც მუდამ მართლმადიდებლობის სადარაჯოზე იდგნენ და მშობლიური რწმენის ერთგულნი თავიანთი რელიგიის სიწმიდეს უფროხილდებოდნენ, ხალხისა და ეკლესიის ერთადერთ საშველს იმაში ხედავდნენ, რომ თავიანთი სამეფო გადაეცათ რუსეთის ძლევამოსილი სახელმწიფოსათვის, რომლის მფარველობის ქვეშაც შეეძლო დამშვიდება ნატანჯსა და ყოველი მხრიდან მაპმადიანებით გარშემორტყმულ ქვეყანას. საბენიეროდ, კეთილგონიერებამ გაიმარჯვა და საქართველო იმ საზრუნავს შეუდგა, რომ უფრო ახლო კავშირში შესულიყო მართლმადიდებელ რუსეთთან, რომელიც ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდებოდა თავის მრავალტანჯულ ერთმორწმუნებს – ქართველებს.

„Пастырь“ №23-24
1895 г. 1-30 Декабря

რუსულიდან თარგმნა
რუსულან ჭანტურიშვილმა
ფილ. მეცნ. დოქტორი



WMIDA MRVDELMTAVARI NIKOLOZ SERBI (VELIMIROVICI +1956 W.)

RA ARIS EVROPA?

დიდმა წინასწარმეტყველმა ესაიამ თქვა: „ოდეს აღდგეს უფალი მოსრვად ქუეყანისა, მაშინ ჩაქრეს კაცთა ამაყი მზერა, დამდაბლდეს სიმაღლე კაცთა და ამაღლდეს უფალი, მხოლოდ მას დღესა შინა“ (ესაია, 2, 11).

ძველ დროშიაც მრავალჯერ აღიძრა ღმერთი „მოსრვად ქუეყანისა“ იმის გამო, რომ ადამიანები თავისისავე მსგავს ადამიანებს აღმერთებდნენ, ნაცვლად იმისა, რომ მისთვის, ერთი ღმერთისთვის, ეცათ თაფვანი. ჩვენს დროშიც აღდგა ღმერთი და ჭეშმარიტად მოსწყლა ქვეყანა თავისი სამართლიანი რისხევით, რათა კაცთა სიამაყე და ზესთამჩენობა მოეტეხა.

ღმერთის ასეთი რისხევა ადამიანთა მოღმაზე ყოველთვის თვით ადამიანების ღმერთის წინააღმდეგ ჯანყს მოსდევდა. ჩვენი დროის მწვალებლურ ქვეყნებში უფალ იესო ქრისტეს ბოლო ადგილი მიაკუთვნეს ამა სოფლის ტრაპეზზე, თითქოს ის უკანასკნელი გლახაკი ყოფილიყოს, საპატიო ადგილებზე კი დასხეს თავიანთი დიდი პოლიტიკოსები, მწერლები, ფილოსოფოსები, ლეგენდარული გმირები, მეცნიერები, ფინანსისტები, ტურისტები და სპორტსმენებიც კი. ამ ხალხებმა თვალი მიაკურეს თანამედროვე „ღმერთებს“, ხოლო ქრისტეს, სიკვდილის დამრთვუნველს, ცოტა ვინმე თუ აქცევდა ყურადღებას. ნათელდებული, მაგრამ მწვალებელი ქვეყნების ამ ბილტ აჯანყებას უნდა მოჰყოლოდა ღმერთის აღდგომა უსჯულო კაცთა წინააღმდეგ. იგი მართლაც აღიძრა ქვეყნის მოსასპობად და ჩვენ მომსწრენი გავხდით ხალხების არნახული ტანჯვისა. მოხდა ის, რაც ესაიამ იწინასწარმეტყველა „შემხმედთა ქაბებისა მიმართ და დანახეთქებისა კლდეთა და ნაპრალთა მიმართ ქვეყანისათა პირისაგან შიშისა უფლისა და დიდებისაგან ძალისა მისისა, ოდეს აღდგეს სრვად ქვეყანისა“ (ესაია, 2, 19). განა ეს სიტყვასიტყვით არ ახდა გასულ ომში? განა სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრები ადამიანები კლდე-

თა ნაპრალებსა და უფსკრულებს არ აფარებდნენ თავს, რომ ევროპელ სიკვდილის მთესველებს როგორმე დამალვოდნენ? და ეს სიკვდილის მთესველები არიან სწორედ გოლიათები და გაკერპებული ადამიანები, რომლებიც ამ სოფლის ტრაპეზზე საპატიო ადგილას ისხდნენ და დასცინოდნენ ქრისტეს.

ესაია განაგრძობს თავის წინასწარმეტყველებას და ამბობს, რომ ადამიანებს ღმერთის დიდების შიში შეიპყრობს და დაამსხვრევენ თავიანთ კერპებს, ზურგს შეაქცევენ მტყუვარ ღმერთებს. თავის საშინელ მოწმობას ესაია გაფრთხილებით ამთავრებს: „და დასცხერენით კაცისაგან, რომლისა სამშვინველი მისი ცხვირთა შინა მისთა არს, რამეთუ რაისა შერაცხილი იქმნა მათდა?“ (ესაია, 2, 22). ესაიას სურდა ეთქვა ყველასათვის, ვისაც მოსმენა და გულისხმისყოფა ძალუბს: ნუდარ დაამყარებთ იმედს უძლურ და მოკვდავ ადამიანებზე, დაუბრუნდით ცხოველ ღმერთს, რომელიც გვაცხოვნებს ჩვენ. ვინ გაცდუნათ, ვინ შთაგაგონათ ქრისტეს უარყოფა და საპატიო ადგილებზე თქვენი ამაყი და ყბედი ადამიანების, სიკვდილის მთესველების დასმა? იქნებ გინდათ, ისევ მოგატყუონ? მაშ, აირჩიეთ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის უმჯობესი, და იცოდეთ, რომ თუ ღმერთის წინააღმდეგ აღდგებით თქვენი „კულტურის ღმერთებით“, მაშინ ისიც აღდგება თქვენ წინააღმდეგ და შვილი თქვენნი, შიშით შეიწრებულნი, თავს შეაფარებენ კლდეთა ნაპრალებს და გამოქაბულებს. მაშინ ისინი შეიცნობენ უფლის დიდებასა და დიდებულებას, მაგრამ ეს სისხლის ფასად დაუჯდებათ, - ბევრად უფრო დიდ საფასურს გაიღებენ, ვიდრე თქვენ გაიღებით.

ჩვენმა ნათელდებულმა ძმებმა, რომლებიც შეცდნენ და კათოლიკურ და ლუთერანულ მწვალებლობებს გაჟყვნენ, საკუთარი სიბრძნით ვერ შეიცნეს და დაკარგეს ქრისტე, უგულებელყვეს მართლმადიდებელი ქრისტიანენი, როგორც უმგ

ცარნი და უკულტურონი, მაგრამ სწორედ მათზე ახდა პავლე მოციქულის სიტყვები: „იტყოდეს თავთა თვისთა ბრძენ და განცოფნეს“ (რომ.1,22), რამეთუ უარყვეს სულიერი, ქრისტემიერი სიბრძნე, რომელიც მშვიდობასა და სიყვარულშია დამარხული და წარმართ ფილოსოფოსთა მსგავსად, შეიმოსეს ამსოფლიური, ხორციელი სიბრძნე, რომელიც მთლიანად სიამაყისა და უკეთურების ნაყოფია. „და ცვალეს დიდება იგი უხრწეველისა ღმერთისა მსგავსად ხატისა მის განხრწნადისა კაცისა... და პატივს სცემდეს და ჰმისახურებდეს დაბადებულთა და არა დამბადებულსა“ (რომ.23-25), ანუ მოსტაცეს დიდება ქრისტეს და შემოსეს ამ დიდებით მოკვდავნი კაცნი, რომლებიც ახალ მესიებად აცხადებენ თავს. ასე გაითქვეს ეკროპელებმა, წარმართ და უღმერთო ფილოსოფოსთა მიერ განსწავლულებმა, სახელი და დიდება. კულტურის ცნება კი მათთან იმას ნიშნავს, რომ ღმრთის დაბადებულს, ანუ ხილულ სამყაროს, უფრო მეტ პატივს სცემენ, ვიდრე თვით ღმერთს, ყოველივეს შემოქმედს. მოკვდავი ღმერთები და გაღმერთებული ბუნება ჯერ-ჯერობით ბოლო ეტაპია დაცემის გზისა, რომლითაც დასავლეთის ქვეყნები საუკუნეთა მანძილზე მიექანებიან ქრისტესმიერი სწავლების სიმაღლიდან სატანური ჯურდმულისაკენ. ესაა დასავლეთის მკვიდრთა სრული მიმსგავსება ძველ რომაულ და თანამედროვე აზიურ წარმართობასთან. ისინი ყოველწლიურად ათასობით წიგნს ბეჭდავენ დიდი ადამიანების სახორცოდ და თავიანთი კულტურის სადიდებლად, ყოველდღიურად ათასობით გაზეოთ ემსახურება ცრუ დიდებასა და კაცთა ქმნილი საქმეების ქებას, და ყოველივე ამას სახელად ჰქვია მაღალფარდოვანი სიტყვა „კულტურა“. ამიტომ მისცა ისინი ღმერთმა „ვნებას მას გონებისასა“ (შდრ. რომ. 1,26-28), და ისინი კმაყოფილდებიან არა ზეციურით, არამედ მიწიერით, რაც ეშმაკის სიცილსა და ქრისტეს ანგელოზთა ტირილს იწვევს. ხორციელზე ზრუნვა, ტაცება, მცირეთა და უძლურთა ძარცვა, ამქვეყნიურ სიკეთეთა გამრავლება, საპუთარი ძალაუფლების და ბატონობის გაფართოება, სხვისი სამშობლოს მოდალაგური დაპყრობა, მხიარულება და ცეკვა, ღმერთის უარყოფა, მხოლოდ ბიოლოგიური, პირუტყვთა მსგავსი ყოფის გაფეტიშება, მაიმუნის საკუთარ წინაპრად დასახვა, ანთროპოლოგიის ზოოლოგიაში

გათქვეფა – აი, რითაა შეპყრობილი მათი გული და გონება...

რა არის ევროპა? ესაა უინი და გონება, ადამიანური უინი და ადამიანური გონება, და ორივე ერთად პაპში და ლუთერშია განხორციელებული. და, მაშასადამე, რა არის ევროპა? პაპი და ლუთერი, ანუ წვრილმანი ადამიანური გულისთქმებისა და ამაოებასთან შესისხლხორცებული გონების სინთეზი. ევროპელი პაპი არის ძალაუფლების წყურვილის განხორციელება, ევროპელი ლუთერი ნიშნავს ადამიანის სწრაფვას, ყოველივე ახსნას თავისი გონებით. პაპი, როგორც მპყრობელი ქვეყნისა და ლუთერი – მეცნიერი, როგორც მპყრობელი ქვეყნისა – ეს გახლავთ არსი ევროპისა. ერთი – კაცობრიობის ცეცხლში დაწვას ნიშნავს, მეორე – წყალში ჩავარდნას, ერთიცა და მეორეც ღვთისგან განაგდებს ადამიანს. პირველი – სარწმუნოების უარყოფას ნიშნავს, მეორე – ქრისტეს ეკლესიის უარყოფას. ასე მოქმედებს ბოროტი სული ევროპის სხეულში აგერ უკვე რამდენიმე საუკუნეა, და ვის ძალუძს მისი განდევნა? მხოლოდ იმას, ვისაც ერთადერთსა აქვს ხელმწიფება ეშმაკოა განსხმისა – უფალ იქსო ქრისტეს, მესიასა და მაცხოვარს, ქალწულისაგან შობილს, ებრაელთაგან მოკვდინებულს, მამა ღმრთისაგან აღდგინებულს, საუკუნეთა მანძილზე განდიდებულს, წმიდათა მიერ ქადაგებულს და ჩვენთა წინაპართა მიერ მიღებულს.

ვიდრემდე ევროპა აღიარებდა ქრისტეს, როგორც მზეს სიმართლისას, და აღიარებდა მის მოციქულებს, მოწამეებს, მღვდელმთავრებს, ურიცხვს სათხომყოფელთა და მართალთ, იგი ჰგავდა ათასობით დიდი და პატარა ჩირადდნით განათებულ მოედანს. მაგრამ, როდესაც ადამიანური უინი და გონება წინ აღუდგა ქრისტეს, საშინელმა გრიგორიმა დაშრიტა ეს ჩირადდნები და მოედანზე დაისადგურა წყვდიადმა, სწორედ ისეთმა, როგორც თხუნელას სოროშია ჩამოწოლილი.

უინს აყოლილი ყოველი ერი და ყოველი კაცი, რომის პაპის მიბაძვით, ეძიებს ძალაუფლებას, განცხორმასა და დიდებას. კაცობრივი გონების კარნახით ყოველი ერი და ყოველი კაცი საკუთარ თავს ყველაზე ჰქვიანად და ყველა ამქვეყნიური სიკეთის ლირსად თვლის. როგორდა შეიძლება, რომ არ იყოს ომი ხალხებს შორის? ან როგორ არ უნდა იყოს ცოფი და სიგიშ კაც-

თა შორის? განა შეიძლება, რომ არ იყოს სწორები, გვალვები, წყალდიდობები, ტუბერკულოზი, წყლული, რევოლუციები? ყოველივე ეს შეუძლებელია არ იყოს, ის-ევე, როგორც შეუძლებელია ჩირქიან იარას ჩირქი არ სდიოდეს და უწმინდურების გროვა არ ყარდეს.

პაპიზმი პოლიტიკას იყენებს და ისე იგდებს ხელთ ძალაუფლებას. ლუთერანობა იყენებს ფილოსოფიასა და მეცნიერებას და ასე ფიქრობს გონებამდე მიღწევას. ამრიგად, უინმა გონების წინააღმდეგ გააჩადა ომი და გონებამ – უინის წინააღმდეგ. ჭეშმარიტად, ევროპა არის ახალი ბაბილონის გოდოლი. ჩვენს დროში აღმოცენდა ახალი ევროპული თაობა, რომელმაც უინსა და გონებას ათეიზმის წიაღში დასწერა ჯგარი და უგულებელყო პაპი და ლუთერი. ახლა აღარავინ ფარავს თავის უინს და აღარავინ ასხამს ხოტბას გონებას. ადამიანურმა უინმა და ადამიანურმა გონებამ ჩვენს დროში აღასრულეს არა კათოლიკური და არა პროტესტანტული, არამედ აშკარად სატანური ქორწინება. თანამედროვე ევროპა უკვე პაპიზმისა და ლუთერანობის გარეშე დგას, იგი კონკრეტულად მიწასაა მიჯაჭული და არავითარი სურვილი არ აქვს ცად ასვლისა არც „უცომელი“ პაპის „კურთხევით“, არც პროტესტანტული გონების კიბით. ის საერთოდ არ აპირებს ამ ქვეყნის დატოვებას და უნდა, რომ მისი საფლავი იქვე იყოს, სადაც აკვანი დაირწა. ის არ იცნობს სხვა ქვეყნას, ვერ გრძნობს ზეციურ კეთილ სურნელებას, არც ანგელოზები და წმიდანები ესიზმრება, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შესახებ ხომ გაგონებაც არ სურს რამესი, რამეთუ ცხოვრების გარევნილი წესი ქალწულების სიძულვილს განუმტკიცებს. მთელი მოედანი წყვდიადს მოუცავს, ყველა ჩირადდანი ჩამქრალა. რა საზარელი სიბნელეა! მმა მმას ლახვარს სცემს გულში, რადგან იგი მტრად ქჩენება. მამა შვილზე ამბობს უარს და შვილი – მამაზე. მგელი უფრო მეტ მეგობრობას უწევს მგელს, ვიდრე ადამიანი – ადამიანს.

ოჳ, მმებო! ნუთუ ვერ ხედავთ ყოველივე ამას? ნუთუ ჯერაც არ გიგრძნიათ საკუთარ თავზე ანგიქრისტიანული ევროპის სიბნელე და სიბოროტე? ვის გინდათ შეუდგეთ: ქრისტეს თუ ევროპას? სიცოცხლეს თუ სიკვდილს? ამ ორ გზაზე ელაპარაკებოდა ოდესაც მოსე თავის ხალხს, ჩვენ

კი თქვენ გეუბნებით: იცოდეთ, რომ ევროპა სიკვდილია, ქრისტე – სიცოცხლე. სიცოცხლე აირჩიოთ და მარადიულ ცხონებას დაიმკვიდრებთ.

ევროპა რომ ქრისტიანად დარჩენილიყო, ქრისტეთი მოიწონებდა თავს და არა კულტურით. აზისა და აფრიკის დიდი ქვეყნები, თუმცა მოუნათლავები, მაგრამ მათეული „სულიერი“ ცხოვრებით მცხოვრებნი, ამას გაიგებდნენ და დააფასებდნენ, რადგან თითოეული მათგანი თავს იწონებს თავისი სარწმუნოებით და თავისი რელიგიური წიგნებით – ყურანით, ვედებით და ა. შ. ისინი მხოლოდ იმით როდი იწონებენ თავს, რაც თვითონ შექმნეს, ანუ კულტურით, არამედ იმითაც, რაც საკუთარ თავზე მაღლა მდგომად, უმაღლეს სფეროდ მიაჩნიათ. მხოლოდ ევროპელი ხალხები არ იწონებენ თავს არც ქრისტეთი, არც მისი სახარებით, მათ თავი მოაქვთ ოდენ თავიანთი სიკვდილის მთესველი მანქანებით და იაფიასიანი ფაბრიკებით. და ამ თავმოწონების შედეგი კი ისაა, რომ ყველა არაქრისტიანმა ერმა შეიძულა ქრისტე და ქრისტიანობა. მაგრამ ევროპას ესეც არ აღელვებს, რამეთუ მან ყველაზე ადრე შეიძულა და უარყო თავისი მხსნელი ღმერთი. ასეთ არასახარბიელო მდგომარეობამდე მიიყვანა ევროპული სამყარო მისმა მცდარმა განვითარებამ, რომელიც ფსევდოეკლესიის გავლენით წარიმართებოდა. რა ბედნიერება იქნებოდა, ევროპა რომ იქადოდეს ქრისტიანობით, როგორც უძვირფასესი მემკვიდრეობითა და მონაპოვარით. ეს ასე უნდა ყოფილიყო და ასეც იყო ქრისტეს მოსვლის შემდგომ პირველ საუკუნეებში, როდესაც სახელი „ევროპა“ ქრისტიანობის სიხონიმი იყო და ერთარსი მისი. ქრისტეს განდიდება და მისი ქადაგება მთელ ქვეყანაზე ღმერთმა სწორედ ევროპის კონტინენტს დაკისრა. ქრისტიანობის გარდა, ევროპა ვერაფრით მოიწონებს თავს, რამეთუ ქრისტეს გარეშე იგი დატაკია, სხვისი ხელის შემყურე პარაზიტი და ყველაზე უსინდისო მძარცველი მსოფლიოში.

ევროპის სკოლა ეპლებიას გამოეყო, უარყო ღმერთის რწმენა და იქცა მომწამვლელად, რომელსაც ევროპელი ხალხებისათვის სიკვდილი მოაქვს. წარმართულ კულტურებში მეცნიერება არასოდეს ყოფილა სარწმუნოებისაგან გამოყოფილი, თუნდაც ეს სარწმუნოება მცდარი და სულელური ყოფილიყო. ეს გამო-

ყოფა მოხდა მხოლოდ ევროპაში, თუმცა მას ყველაზე სრულყოფილი სარწმუნოება ჰქონდა. ეკლესიის უხუცესებთან შეტაკების გამო ევროპამ უარყო ეს ყველაზე სრულყოფილი სარწმუნოება და დაიტოვა ყველაზე არასრულყოფილი მეცნიერება, უარყო ღმრთაებრივი ცოდნა და ჩაეტანა კაცობრივ უმეცრებას და ამით განაცხადა თვისი სიცოფე და უგუნურება.

დასავლეთს საქმაწვილო სენი შეეყარა. ამაშია მისი სიბილწეც და მისი სიშმაგეც. თვის ქრისტიანულ პერიოდში ევროპა მართლმადიდებელი იყო და ხედავდა სულიერი ხედვითაც და გონებითაც მაგრამ, რაც უფრო მეტად შორდებოდა ქრისტიანულ ჭეშმარიტებას და ქრისტიანულ სათხოებას, მით უფრო უარესდებოდა მისი სულიერი ხედვა, ვიდრე XX საუკუნეში საერთოდ არ დაკარგა იგი. ახლა დასავლეთს შერჩა მხოლოდ ხორციელი თვალები მგრძნობელობითი ხედვისათვის; ეს ხედვა მას უკიდურესად განუვითარდა და ხელს უწყობს, რომ უკეთ, დეტალებში დაინახოს ნივთიერი, ხორციელი სამყარო, მისი ფორმები, ფერები, რიცხვი, ზომა. ეს ხედვა მიკროსკოპითაა შეიარაღებული და ხედავს უწვრილეს ჭიადუასა და მიკრობებს. იგი ტელესკოპებაც იყენებს და ისე ახლოს ხედავს ვარსკვლავებს, კაცთაგან არავის რომ არ ლირსებია ადრე. ესაა და ეს. რაც შეეხება საგანთა დაფარული ბუნების გონებით ჭვრეტას და სულიერ წვდომას მთელ სამყაროს აზრსა და დანიშნულებაში, ამ სფეროში დასავლეთ ევროპა ახლა უფრო ბრმაა, ვიდრე მუსლიმანური არაბეთი და ბრამანული ინდოეთი, ანდა ბუდისტური ტიბეტი და სპირიტული ჩინეთი; და მართლაც, ქრისტიანობას ამაზე მეტი სირცხვილი არ ახსოვს გასული ორი ათასი წლის მანძილზე, რამეთუ ნათელდებული ადამიანები უნათლავებზე უფრო ბრმანი აღმოჩნდნენ. რაშიც პავლე მოციქული ამხილებდა ნათელდებულ გალატელებს, იგივე შეუძლია აყვედროს საკუთარ თავს სიყმაწვილეში ჩავარდნილმა ევროპამ: „პო უცნობელნო გალატელნო, ვინ გეშურებოდა თქვენ ჭეშმარიტებისა არა მოჩილებად, რომელთა თვალთა წინაშე პირველივე გამოიწერა თქვენ შორის იგსო ქრისტე ჯუარს-ცმული?.. ესრეთ უცნობელ ხართ, იწყეთ სულიერად და აწ ხორციელად აღასრულებთ?“ (გალ. 31-3). ოდესლაც ევროპაც სულიოთ, სულიერი ხედვით იწყებ-

და, ახლა კი ამთავრებს ხორციო, ანუ ხორციელი ხედვით, განსჯით, სურვილებით და მოპოვებული სიკეთებით. პირდაპირ მოჯადოებულია! მთელი მისი ცხოვრება ორ განზომილებაში მიმდინარეობს: სიგრძესა და სიგანეში, ანუ – სიბრტყეში. მისთვის უცნობია სიდრმე და სიმაღლე, ამიტომაც იბრძვის მიწისთვის, მოკლედ, სიბრტყის და მხოლოდ სიბრტყის გაფართოებისთვის!

ამიტომაა, რომ ომი მოსდევეს და საშინელება – საშინელებას, რამეთუ ღმერთმა ადამიანი იმისთვის როდი შექმნა, რომ მან უბრალოდ იარსებოს, პირუტყვის ცხოვრებით იცხოვოს, არამედ იმისთვისაც, რომ მან გონებით განჭვრიტოს საიდუმლოს სიღრმე, გულით კი ღმრთაებრივ სიმაღლეს მიაღწიოს. ომი მიწის მოსაპოვებლად არის ომი ჭეშმარიტების წინააღმდეგ, ომი ღმრთაებრივი და ადამიანური ბუნების წინააღმდეგ. მერედა, რამდენს იტანჯებიან, იჭირვიან და რამდენს კარგავენ ადამიანები მსოფლიური, წარმავალი და მაცდური მიწიერი ცხოვრების მანძილზე! ამ საშინელი ტანჯვის მეასედის დათმენაც რომ მოისურვონ ზეციური სასუფევლის მოსახვეჭად, მაშინ ომი დედამიწაზე სრულიად უაზროდ და სასაცილოდ მოეწვენებათ.

დაე, ევროპამ ჭეშმარიტი ნათლისღება მიიღოს და ქრისტეს დაუბრუნდეს. დაე, გაიხსენოს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი და ქრისტეს თორმეტი მოციქული, მაშინ თვალთაგან ლიბრი გადაეცლება და ისეთივე მშვენიერი გახდება, როგორიც ათასი წლის წინათ იყო მართლმადიდებელი ევროპა. მაშინ ისიც ბედნიერი იქნება და ჩვენც მასთან ერთად. მაშინ განიხარებენ ევროპელი ხალხები და ჩვენთან ერთად ცრემლით აღუვლენენ ღმერთს მარადიულ სადიდებელს: წმიდაო, წმიდაო უფალო საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანად დიდებითა შენითა, ამინ.

არქიმანდრიტი სერაფიმე (ალექსიევი)

არქიმანდრიტი სერგი (იაზიჯიევი)

„რატომ არ შეიძლება

ქრისტიანი იყოს ეკუმენისტი“

რუსულიდან თარგმნა

რუსუდან ბუაჩიძემ

EPISKOPOSI IOANE SMOLENSKELI (SOKOLOVI 1818-1869)

ADAMIANIS GARDACVALEBA SIKVDILISAGAN MARADIUL CXOVREBASI

სიკვდილის წინ ადამიანს უკვე მარა-
დიულიც ეცხადება. იგი მის ზღურბლს
მიდგომია და ოუმც კი ბუნდოვნად და
ზოგადად, მაგრამ ამქვეყნიურ საგნებს
ჯერ კიდევ ხედავს; გაურკვევლად, მა-
გრამ კვლავ წვდება წუთისოფლის ხმე-
ბი და მიწიერ განცდებსაც შეიგრძნობს.
სხვაგვარი სიცოცხლეც დაჩნევია მას
და სხვებისთვის უჩინარ საგნებსა თუ
მოვლენებს ამჩნევს; უჩვეულო ხმებიც
ესმის მას და იმას ჭვრეტს, რისი ცოდ-
ნაც ჩვენთვის ბუნებრივი გზით შეუძლე-
ბელია. წუთიც და ადამიანი მარადისო-
ბის ზღურბლს გადააბიჯებს. უმაღ მისი
არსებობის ფორმაც იცვლება და სული
იმგვარად ხედავს საკუთარ თავს, სა-
კუთარ არსებას, როგორადაც სხეულში
ვერ ხედავდა; ყველაზე შორეულ საგნებს
იგი უკვე ხორციელი თვალით აღარ ხე-
დავს, არამედ უშუალოდ ჭვრეტს; და
რასაც უწინ მხოლოდ გონებით წვდე-
ბოდა, ახლა თვალხილულივით ხედავს.
იგი აღარც ბგერებად დანაწევრებული
სიტყვებით მეტყველებს, არამედ აზრით
და რისი წარმოსახვაც უწინ მხოლოდ
აზრებით შეეძლო, აწ უკვე სიტყვებივით
წარმოთქვამს; საგნებსაც შეხებით როდი
შეიგრძნობს, არამედ – განცდებითა და
გრძნობებით; ხოლო უმცირეს და უწინ
მისთვის უჩინარ საგნებს, ახლა გრძნო-
ბებით ევლება, თითქოს ეხებაო; ფეხი-
თაც აღარ მიმოდის, არამედ – მხოლოდ
საკუთარი ნების ძალით და უმაღ აღწ-
ევს მას, რასაც უწინ დიდი ძალისხმევა,
დრო და მანძილი ჭირდებოდა; სულს
ნივთიერი ვედარაფერი აბრკოლებს.

უკვე წარსულიც აწმყოდ უჩანს და
მომავალიც აღარ არის მისთვის უწინდ-
ებურად ბუნდოვანი. აღარც დროისა და
ადგილის დაყოფაა, აღარც დღეებია და
აღარც საათები, არც წლებია და არც
საუკუნეები, ანუ აღარცა მცირე თუ
დიდი სიმორეა, არამედ – უმაღ ერწყმის
ყოველი მარადისობას, უსასრულოსა და
მუდამ საწყის მარადიულს; ყოველი ერთ
თვალსაზრისში ერთდება და ეს თვალ-
საზრისი უკვე არანაირ განზომილებას
აღარ ექვემდებარება.

მაშ, რასა გრძნობს და ხედავს მარა-
დიულის ზღვარს გადასული ადამიანი?
– აუწერელ შიშს და გაოცებას გვრის
მას მარადიულის გაცხადება; რომლის
უსაზღვრობაშიც ინთქმება კაცის საზ-
ღვრული არსება და მასთანავე ყოველი
მისი აზრი და გრძნობაც. იგი ხედავს
საგნებს, რომლის არც ფორმა და არც
სახელი არ გაგვაჩნია; ესმის ის, რაც
წუთისოფლად ვერანაირი ხმით და
ბგერით ვერ გადმოიცემა; მისგან აღქმუ-
ლი და განცდილი ენით აუწერელია. იგი
აწყდება ბნელსა და ნათელს. ნათელს,
რომლის წინაშეც ჩვენი მზის ელვარება,
მზესთან ანთებულ სანთლის შუქზე უმ-
ცირესია, ხოლო წყვდიადს – რომელთ-
ანაც ჩვენთვის ყველაზე უკუნი დამეც კი
ნათელ დღესავით გამოჩნდებოდა.

საუკუნოში გარდასული ადამიანის
სული თავის მსგავს არსებებსაც ხვდება
და მათში წუთისოფლიდან გარდასუ-
ლებს ცნობს; მაგრამ რამხელა ცვლილე-
ბაა მათში! ეს უკვე აღარც ამქვეყნიური
სახეებია და არც მიწიერი სხეულები.

ეს მხოლოდ სულებია, მთელი თავისი შინაგანი თვისებებით სრულად გახსნილი და ამ თვისებების შესატყვისი სახით მოსილი, რომლითაც ისინი ერთმანეთს ცნობენ; და გრძნობის ძალით იმათ შეიცნობენ, ვისთანაც ამქვეყნად დაახლოვდნენ.

შემდგომ სული ხვდება ბუნებით ასევე მონათესავე, მაგრამ იმნაირ არსებებს, რომლებიც თავიანთი ძალმოსილებით ადამიანის სულს მიახლოებითაც კი თრგუნავენ. ზოგი მათგანი უსაზღვრო წყვდიადის სიღრმიდან გამოდის და მთელი მათი არსებაც ბეჭდია და ბოროტი. ამ არსებათა აზროვნება, საქციელი თუ ცხოვრება ერთი ოდენ აღუვსებელი ბოროტება; მათი საქციელი და მოქმედება მათშივე დამარხული აუწერელი მწუხარებით, სხვების ტანჯვით და დაუპვით გამოირჩევა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ამქვეყნიურთან ახლო, სულიერ სამყაროს უმდაბლეს სფეროებში ხდება. ხოლო შორს, იქეთ, სული თვალშეუდგამი ნათლის უკიდეგანო ზღვას ხედავს, საიდანაც სხვა უფრო ძლიერი არსებები გამოდიან; მათი ბუნება და ცხოვრება – აურაცხელი სიკეთე, წარმოუდგენელი სრულყოფა და გამოუთქმელი სიყვარულია; აუწერელი ნათელი ავსებს მთელ მათ არსებას და ეს ნათელი ახლავს ყველა მათ საქციელს.

ამრიგად, ამ სასწაულებრივ სამყაროში შეუზღუდავი ადამიანის სული, თავის სულიერი ბუნებისა და მშობლიური სამყაროს მიზიდულობის ძალით, აღიტაცება და ფრენს მაღლა, სულ უფრო მაღლა და შორს – იქამდე, ანუ იმ ზომამდე, სადამდეც ეს მის სულიერ ძალებს ხელეწიფება.

საკირველია, ნუთუ ეს ის სულია, ამწუთისოფლად ადამიანში რომ სახლობდა, სხეულით მოზღუდული და შებოჭილი, სხეულის მასაში ძლივს შესამჩნევი, ყოვლითურთ მონა და მსახური

მისი, ურომლისოდაც აღარც სიცოცხლე და არც აღორძინება ეგონა? განა ეს ის უძლური სულია, აქ რომ დიდი გაჭირვებით ვითარდებოდა? განა ის გონება-შეზღუდული, ზედაპირული გრძნობების, ცუდი მიღრეკილების სულია, გრძნობებისა და ამქვეყნიური პრობლემების ტვირთქვეშ ასე ხშირად და ადვილად რომ ეცემოდა? და ბოლოს, იგი ესაა ის სული, რომელშიც მეტწილად მხოლოდ თესლი იყო სიკეთისა, ხოლო ბოროტი ისე ღრმად დაემარხა, რომ საკუთარ თავში ვერც ერთს ხედავდა და ვერც მეორეს?! და ამგვარ მერყევ, არამყარ სულში კეთილი ძლეული იყო ბოროტისაგან, ბოროტი კი ხშირად კეთილად ეჩვენებოდა და ერთს მეორისაგან ვეღარ არჩევდა. ახლა რა ემართება? – მისი აზრები, გრძნობები, ზნეობრივი ხასიათი, ვნებები თუ ნების სწრაფვა – ეს ყველაფერი უზომოდ იზრდება; თავად არ შეუძლია მათი არც შეცვლა, არც შეკავება და არც ძლევა. საუკუნო უსასრულოდ შერწყმია და მისი ნაკლიცა და სისუსტეც ერთიან ბოროტებად ქცეულა. ბოროტება უსასრულო გამხდარა, ხოლო მწუხარება და სენი დაუსრულებელ ტანჯვად ქცევია. წარმოგიდგენიათ ამგვარი ყოფის მთელი საშინელება?! შენს უკუთურ სულში ჯერ კიდევ დახშული და დაფარული ბოროტება, იმქვეყნად უსაზღვრო ბოროტებად წარმოჩინდება; სააქაოში როგორდაც დაოკებული შენი ბოროტი გრძნობები აქვე თუ არ ამოძირკვე, საიქიოში გაშმაგდება; და აქ თუ მაინც ფლობ თავს, იქ ვეღარაფერს გააწყობ საკუთარ თავთან და რაც შენშია, იქაც თან გაგყვება ყველაფერი და შეერევა უსასრულობას. და ვინ იქნები მაშინ? – თუ ამ ქვეყნად უკეთური ხარ, მაშინ იმქვეყნად ბნელი და ბოროტი იქნები. მაშინ თავად მიხვდები.. ან უფრო სწორად, მაშინ ძალიან კარგად გაიგებ და საკუთარ თავსაც გაცილებით უკეთ

შეიცნობ. არსაიდან არანაირი შეწევნა აღარ გექნება და შენივე ბოროტების სიმძიმე იქეთ წაგიდებს, სადაც ბოროტი ძალა, უკიდურესი ბოროტება მკვიდრობს. ამ გზაზე ვერ შეჩერდები და ვერც მიიქცევი მისგან; არამედ იწამებ და იწვალებ უკუნითი უკუნისამდე. რა გაგტანჯავს? – საკუთარი ბოროტების სიშმაგვა, რომელიც აღარასოდეს მოგცემს უკეთ ყოფნის იმედს და შენივე ბოროტება შენვე არ მოგასვენებს; ის უკეთური გარემოც გაგტანჯავს, შენზე ძლიერი რომ აღმოჩნდება და მუდამ გარსმორტყმული უკეთურება დაგიპყრობს და დაგდრდნის.

კეთილი სული როგორდა იქნება? კეთილიც ასევე სრულად და მთელი ძალით გამჟღავნდება იმქვეყნად; იქ სრული თავისუფლებით აღორძინდება; ყოველ შინაგან ღირსებას, რომელიც აქ მეტწილად დაფარული, უცნობი და უპატიო იყო, სული იქ სრულად გაამჟღავნებს; ამქვეყნად ყოვლითურთ დაჩრდილული მთელი მისი შინაგანი სინათლე, იმქვეყნად წარემატება; წუთისოფლის ნაირგვარი მწუხარებით დათრგუნული სულის ნეტარება მარადიულში აღორძინდება და თავის ბუნების ზნესრული და მაღალსათნო მიღრეკილებების ძალით, იმქვეყნიურ უმაღლეს სფეროთა მწვერვალზე აღიტაცება, იქ, სადაც უსასრულო ნათელში სუფევს წყარო და პირველსახე ყოველივე კეთილისა და სადაც სული გარემოცულია ნათელი და

უწმიდესი არსებებისაგან. ხოლო კეთილი სული თავადაც ანგელოზებრივად წმიდა, ნათელი და ნეტარი არსება იქნება; კეთილსათნო სულს უსაზღვრო სიყვარული შეაერთებს უფალთან, ანგელოზებთან და თავის მსგავს სულებთან. იგი საუკუნოდ განმტკიცდება თავის სიკეთეში და მას ვერავითარი შინაგანი თუ გარეგანი ბოროტება ვეღარ შეარყევს, ვედარც შეცვლის და ვერც რას ავნებს მის ნეტარებას. მაგრამ, უქმად როდი ეგება იქ სული, საკუთარი სიკეთისა და ნეტარების განცხრომაში; არა – არამედ იგი იღვაწებს უკვე უცდომელი და ნათელი გონებით, განჭვრეტს და მიწვდება ამქვეყნისათვის დაფარულ, ამოუცნობ საღვთო საიდუმლოებებს, სამყაროს, საკუთარ თავს და საუკუნო ცხოვრებას. სული იმქვეყნად იღვაწებს უკვე სრული თავისუფლებითა და ყოვლითურთ უმწიკვლო გულის გრძნობებით, თავისი ახალი, აღმატებული ცხოვრების აღორძინებისათვის; ადამიანი იღვაწებს თავის სულის ყოვლითურთ დაუბრკოლებელი და შეუქცეველი მტკიცე ნებით, უზენაესი ჭეშმარიტებისა და სიყვარულის სამსჯავროსაგან განჩინებული გზით, ლვთის სასუფევლის იღებებში უწინარეს საუკუნეთა განსაზღვრული მიზნისათვის.

რუსულიდან თარგმნა

მონოზონმა ანამ (ნიაური)



RIRSI NILOS SINELI (IV-V სე.)

CALKEULI AZREBI DA GAMONATQVAMEBI

- შიში გქონდეს და სიყვარული ღმრთისა და კეთილსინდისიერი იყავ უვალას მიმართ.
- გწამდეს, რომ ყოველ შენს საქმეს ხედავს უფალი.
- ქებას განერიდე, მაგრამ საყვადურისა გრცხევნოდეს.
- გიხაროდეს, ოდეს სათნოებას რასმე ადასრულებდე, გარნა ნუ განდიდები, რათა არა დაეცე.
- რაოდენ წარემატებოდე მცნებათა აღსრულებაში, მით შორს იგულვე თავი სრულყოფისაგან.
- ყოველი საქციელის ბოლო თავშივე გამოიძიე.
- დღემუდამ თვალწინ გედგას აღსასრულის დღე და ნურაფერი ამქვეყნიურის სიყვარული ნუ მიგიზიდავს წუთისოფელთან.
- ნუ შეხვალ ურთიერთობაში მასთან, ვისაც სათნო ადამიანები თაკილობენ.
- ხელსაქმობდე, საუბრობდე თუ ზრახვიდე, ეცადე არვის ვნებდე.
- ცხოვრების ფერადოვნება ნუ წარგიტაცებს, რამეთუ ყვავილთა ფერთა მსგავსია იგი – შეეხები და უმალ დაჭკნება.
- მწუხარებაში მადლობდე უფალს და ცოდვის უდელი შეგიმსუბურდება.
- განსაცდელისას ფრთხილობდე, რამეთუ მათგან მრავალი შენზე აღმატებული მხილებულა.
- დვთის სულგრძელებას ნუ გაჰკიცხავ, რამეთუ ყოველთა საკურნებელია იგი.
- ამქვეყნიური შეუგვანებლობანი გძაგდეს, გარნა ნუ პყვედრი უფალს.
- საკუთარ თავს მივექცეთ და სხვათ ადარ დავცინებო, რამეთუ მათებრ საქციელი ჩვენშიც მრავლადაა.
- ფსალმუნთაგალობას ნუ დასცხებიან ბაგენი შენნი, რამეთუ დვთის სახლის ხმობა განასხავს დემონებს.
- გულისხმისყოფით ჯერარს ლოცვა,

- რათა ის არ ვითხოვოთ დვთისაგან, რაც სათნო არ ეყოფა.
- გამუდმებით გახსოვდეს ღმერთი და გონება ზეცად გექმნება.
- თვალნი დაიცევი, რამეთუ თავად არ უწყი, საით მიმოვალს იგი.
- აღვირი ასხი ენას, რომელიც ხშირად წამოისვრის მას, რისი დამარხვაც უმჯობესი იქნებოდა.
- მცნებათა სწავლებით გაწვრთენი გონება, რამეთუ მით წარიხოცება მზაკვრული ფიქრები.
- სათნოებანი დაპფარე, გარნა ეცადე, მრავალნი მოწმობდნენ შენზე ამქვეყნად.
- ხორციელი სიამენი მოიძულე, რადგან უწმიდურ ხორცოან ერთად, სულიც უწმიდურდება.
- ხორცს ის მიეცი, რაც მას ჭირდება, და ნუ მისცემ რისი მიღებაც სურს.
- ნუ გიყვარს ფუფუნება, რამეთუ ამქვეყნიურ ცხოვრებას მიგაჯაჭვებს, ეს კი დვთის წინააღმდეგომად გყოფს.
- ცხოვრებისეულ შვება-ლხენათაგან ივლტოდე, რამეთუ აგხორც წადილთ აღგიძრავენ და ცხოვნების გზაზე დაგაბრკოლებენ.
- უკეთუ გაქვნდეს სიმდიდრე – განაბნიე, უკეთუ არა – ნუ შეიკრებ.
- მარხვა საჭურველად შერაცხე, ლოცვა – ზღუდედ, ცრემლნი – საბანელად.
- სულთქმით მოიხსენიე ყოველი, რაოდენიცა რა სცოდე და ამით მოიღებ სულის შემუსვრილებას.
- გლახაკთა შეეწეოდე, რამეთუ ისინი მოწყალე პყვიფენ ჩვენდა უფალს.
- გაიზიარე წმიდათა გაჭირვება და მით მიემთხვევი ღმერთს.
- საცხოვრებლად საჭირო სარჩო სავალდებულოდ მიიჩნიე, ხოლო მისთვის ზრუნვა კი ღმერთს მიანდე.
- სათნო საქმეებით მოაუძლურე ხორ-

ცი, მაგრამ მიჰედვე, სრულიად არ დასცე იგი.

- რაც შეიძლება მცირედ მიიღე დვონი; რაოდენ ნაკლებს შესვამ დვინოს, იმდენადვე სასარგებლოა იგი.

- დაიცხვრე გულისწყორმა, რამეთუ წრეგადასული გულისწყორმა სიშმაგესა შობს.

- სნეულებისას, უწინარეს ექიმისა და წამლებისა, ლოცვას მიმართე.

- სამღვდელო წესოაგანს ყველას პატივსცემდი, ხოლო სათხოსთან მირბიოდე.

- დვთის სახლი გიყვარდეს, ხოლო თავი შენიცა ჰქმენ სახლად დმრთისად.

- ხშირად ხვიდოდე ტაძრად, რამეთუ იგი განგვარიდებს გარეშე დელვათა და ძრწოლათაგან.

- რაც ამქვეყნად წუთიერია, აწ განშორებით ნუ დაგადონებს იგი.

- ოდეს ავხორცი ფიქრი აღიძვრება შენში, წინაღუდექი მას, კაცთაგან სირცევილისა და დვთის შეურაცხების მოხსენიებით.

- დაიცავ თვალი და ყურნი შენი, რამეთუ მათგან შემოვლენ ბოროტის ყველა ისრები.

- ლოცვისას გულისყური ღმრთისადმი აღაპყრე, და თუ წარიტაცები, მაშინ კვლავაც უფლისკენ მიდრიკე გონება შენი.

- გონება ზრახვათაგან არასოდეს დასცხერება, მაგრამ შენ ბოროტნი განიშორე, ხოლო კეთილნი – აღასრულე.

- გიყვარდეს მორჩილება, რომელიც აღამაღლებს და არასადა დასცემს.

- იმდენი იდვაწე, რაოდენიც ჯერ არს ხორციელ აღძვრათა დასაცხერომად; ხოლო თუ მოაუძლურებ ხორცს, ჰკურნებდი მას ჯანმრთელობისათვის და არა ცხოვრებისეულ სიამეთაოვის.

- მზაკვრული ფიქრები სხვა ფიქრუბით აღმოფხვერი.

- ზეციურ ნეტარებათა სუფევაზე იფიქრე, ამქვეყნიურით ტკბობის სიყვარული არასოდეს შემოვა შენში.

- როდესაც უჯეროს რასმე იზრახავ დმერთზე – ზე გაქვნდეს გული და აღიმაღლე გონება; გარნა თუ უფლისად დიდებისმეტყველებდეს გონება შენი – ზომიერ ჰყავი თავი შენი, რამეთუ დაუტუნელის დატევნა ჩვენთვის სახიფათოა.

- ირწმუნე, რომ უჯერო ფიქრებს ეშმაკი თესავს და ამ რწმენით განიშორებ ცოდვილ ზრახვებს, ხოლო მის მთესველს კი შეარცხვენ.

- მომეტებულ სიცილს ერიდე, რადგან იგი სულს აუძლურებს; მოუძლურებული სული კი ადვილად მოიხსნის კანონის უდელს.

- სულიერი ძალები ლოცვასა და საქმეზე უნდა განაწილდეს და მაშინ მცირედა პპოვებს ეშმაკი ჩვენში შემოსავალ გზებს.

- ხელსაქმისას პირით შენით გალობდე, ხოლო გონებით ილოცევდი, რამეთუ ღმერთს სათხო უჩნს ჩვენგან, დაუცადებლად მოვიხსენიებდეთ.

- ლოცვით აღბჭდე ყოველი შენი საქმე, უმეტესად კი ისინი, რომლის დროსაც მერყევი აზრები გიჩნდება.

- თუ გსურს ხელთა შენთა ნაღვაწი საღმრთოდ გეყოს და მტვრად არ გაგებნებს, მაშინ, შენი საქმით მოგებული გაჭირვებულებს გაუყავი.

- გიხაროდეს წმიდა მამებთან შეხვედრა, რამეთუ მათის მეოხებით ღმერთი გვეცხადება.

- ჭეშმარიტად წმიდანი საქმით იცანი, რამეთუ ყოველი ხე ნაყოფით იცნობა.

- წმიდანს თუ პირისპირ სჭერებულდე, ისარგებლე ამით, რათა სარგებელი რამ გეყოს შენ მისგან; დააკვირდი მის შეხედულებებსა და გარეგნობას, რამეთუ ერთიცა და მეორეც მეტად სასარგებლოა.

- გული ურისხველობით განსწავლე, ხოლო სხეული – სიწმიდით; ესე ორივე ტაძრად დვთისად გყოფს შენ.

- იმგვარად დაიცევ ტაძარი თავისა შენისა, ვითარცა ტაძარი დამბადებელისა, აღმაშენებელისა და მსაჯულისა შენისა, რათა შენ ხატი მისი, წმიდა იყო.

- ერის ადამიანებთან საუბარი ღმერთზე ფიქრს განაშორებს; ამისთვის, ნუ ისაუბრებ მათთან და მოსაუბრეთაც განეშორე.

- ძვირს თუ ვინმე გეტყვის, დაფიქრდი, ხომ არაფერი ჩაგიდენია რა, ძვირის სიტყვის ღირსი, ხოლო თუ არა – მაშინ ის ბოროტი სიტყვა განქარვებად, კვამლად შერაცხე.

- გულისშემუსვრილების გარეშე ვნე-

ბათაგან გათავისუფლება შეუძლებელია; ხოლო გული სამი რამის დათმენით შეომუსრება: ძილის, საჭმლისა და სხეულის განსვენების მოკლებით.

- ოუ განაწყენდი რითიმე, დაითმინე და ვნება შეურაცხმუფლზე გადავა.

- სიმდიდრის, დიდებისა და ქვეყნიურ მეუფების ხილვაზე იფიქრე, რომ ესე ყოველი ხრწნადია და აღარ მოიხიბლები.

- მწუხარებანი დაითმინე, რამეთუ ვითარცა ვარდი ეკალში, იმგვარად აღმოცენდებიან მათში სათნოებანი.

- სათნოებათა ტოლფას ლირსებად ნურაფერს მიიჩნევ, რამეთუ იგი ღვთის ხატებაა და უცვალებელია მსგავსად უფლისა.

- ცოდვილზე სტიროდე, ოდეს ყოველში ხელი ემართებოდეს, რამეთუ მახვილი მართლმსაჯულებისა აღმართულია მასზე.

- ვნებათა დედად სიზარმაცე შერაცხე, რადგან ყოველივე კარგს, რაც გაგაჩნია, იგი წარიტაცებს და რაც არა გაქვს მის შეძენაში დაგაბრკოლებს.

- როცა ცუდის მომქმედს ამის არ რცხვენია, მაშინ ცოდვის იარა უფრო ღრმავდება და დაცემა სასოწარკვეთამდე მიდის.

- ოუ უცებ სულით დაეცი, მოიხსენე, რაოდენი ნეტარება ელით მართალთ და მაშინ მარჯვედ მოიგებ სულიერ ნაყოფს.

- მართალს ყველას წინაშე მართებს მორჩილება, რამეთუ მხოლოდ ცალკეულთა მიმართ მორჩილება, ცრუმორჩილებას ნიშნავს.

- მოყვასის სიყვარულს არაფერი გერჩიოს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ სიყვარულით ღვთის სიყვარული მოიძულება.

- ღვთის სჯულის საწინააღმდეგოს ნურაფერს მიეჯაჭვები და ნურც ნურაფერს შეიყვარებ, რადგან ამით ღვთის წინაშე უდირსს რასმე უპირატესყოფ.

- ცუდი ადამიანების ქომაგი ნუ იქნები, რადგან მათ ცუდზე წააქეზებ ამით, ხოლო შენ კი მათთან ურთიერთობით შეიძლალები.

- ცოდვილს შეაგონე, მაგრამ დაცემულს ნუ განიკითხავ, რადგან პირველი – ცოდვილის მოქცევის სურვილია, ხოლო

უკანასკნელი – ძვირისმეტყველებაა.

- ეცადე მუდამ ისმენდე წმიდანებისათვის დამახასიათებელ რამეს ან მათზე საუბრობდე, რადგანაც ეს შენში კეთილმოშურნეობას აღძრავს.

- უკეთუ ყოველ ჩვენთაგანს გონება ტაძრად უყოფია, მაშინ საეკლესიო კანონიც უნდა აღვასრულოთ მასში.

- ეკლესიაში მსახურება თუ აღესრულება, დაესწარი, უკეთუ – არა, სამოცოქულო წაიკითხე და შინ წადი.

- სათნოებათა დიდება წმიდათა შორის მოიხილე, რადგან მათი დიდება სიკვდილის შემდგომაც უკვდავია.

- ვნებას მაშინ მოიძულებ, როცა მიხვდები, რომ იგი ჩვენს თავზე აღმართული ეშმაკის მახვილია.

- დაცემულს თუ შეაგონებდე, სიტყვა შენი თანაგრძნობით განაზავე, მაშინ სმენაც მოულებება და გულიც გაუნათდება.

- წმიდანებთან საუბარში სულიერზე გამოიძიე, ხოლო სხვებთან ამაზე ნუ ისაუბრებ.

- კეთილ საქმეში ყოველთვის მოსწრავე იყავი, რათა რაიმე მიზეზით, დაუმთავრებელი არ დაგრჩეს და შენც არასრულყოფილი არ გახვიდე ამქვეყნით.

- „ესრეთ რბილდეთ, რაითა ეწინეთ“ (Iკორ. 9,24) ე.ი. შეუსვენებლად უნდა იარო; რადგან სიკეთეს ფეხდაფეხ უნდა მისდიო, ვინემ ცხოვრების სარბიელიდან არ გახვალ.

- მცნებათა აღსრულებაში დაუდევარი ნუ იქნები, რადგან დაუდევარს ერთ ჯაფაზე მეორე ფუჭი ჯაფაც დაერთვის.

- მოთმინებაში გაჭირვებამდე გაიწვრთნები, რათა გაჭირვების უამს მოთმინების საჭურველი მზად გქონდეს.

- მზაკვრულ ფიქრებს წინაღუდექი და მიუგე მათ, რასაცა იტყვის მცნება.

- დიდის ძალისხმევით მოსწყვიტე თვალი ამქვეყნას, რამეთუ მისგან ამომავალი მავნე კვამლი აღმდგრევს სულს.

- დაღათუ მავნე რამ ჩვევა გეუფლა, თანდათან მოიკვეთე იგი და ჯაფის გარეშე აღმოიგდებ სულიდან ამ ეკალს.

- წმიდა არს უფალი და წმიდად გიყვარდეს, და რამეთუ იგი აღმატებულია ყოველთა ზედა, ყოველი უმდაბლეს მისა და შერაცხე.

- დვთის ტაძრად ყოფნა თუ გსურს, მაშინ განუწყვეტლივ შესწირე მსხვერპლი დაუცადებელის ლოცვისა.
- დაუდევრად მცხოვრებს ნუ გაიხდი მრჩევლად, რადგან ავისმოყვარეს არ შეუძლია იმავ დროს კარგიც უყვარდეს და კეთილს რასმე გირჩევდეს.
- ხორციელი ვნებანი დაიოგე და ყოველდღე ეზიარე წმიდა საიდუმლოს; ამგვარად ქრისტეს სხეული შეიქმნება ჩვენი სხეული.
- დვთისაგან სასჯელის დათმენისას ნუ დრტვინავ; თუმცადა სჯის უფალი, მაგრამ ვითარცა მოწყვალე მამას უნდა ვმადლობდეთ ამისთვის.
- თუ შეურაცხებყვეს, გიხაროდეს, რადგან თუ უსამართლოდ გაყვედრეს, მაშინ დიდია სასყიდელი შენი, ხოლო თუ სამართლიანად – მაშინ მსწრაფლგონს-მოგებული სასჯელს განერები.
- ცხოვრებისეული მწუხარებანი და სიხარული აჩრდილთა და ბორბალთ ამსგავსე, რამეთუ ისინი მბრუნავია და ცვალებადი.
- ეცადე, მუდამ წარემატებოდე დვთისად. მცირედ-მცირედით მალე შეიკრებ დიდ საუნჯეს, რომელსაც ყოველი ეშურებიან.
- თუ გინდა მწარე სატანჯველი აიცილო, არასდროს არავის არ უთხრა ბოროტი, რადგან ეს დმერთს განარისხებს.
- შენს ოჯახს ყოველგვარი სატანჯველი თუ გინდა ააშორო, მონათესავე ადამიანზე ნუ იტყვი ცუდს, რამეთუ სამართლად განრისხება ამისთვის უფალი.
- ყოველგვარ ცოდვაზე თუ გინდა ამაღლდე, მაშინ სხვის ცოდვებს ნუ გამოეძიებ, რადგან შენშივე მრავლადაა იგივე, რასაც სხვებში ეძიებ.
- ამპარტავნებისაგან ივლტოდე, კაცო, დაღათუ იყო მდიდარი, რაითა უამ-ერთს დმერთი არ გეეოს წინააღმდეგომად.
- აღმატებულიც რომ იყო, დამდაბლდი, რათა განკითხვის დღეს ამაღლდე.
- ნურავის დაცინებ და შენი ცხოვრების მანძილზეც არაგინ დაგცინებს.
- ეკლესიაში გონებით ნუ იდავებ, რამეთუ მეუფის წინაშე წარდგომილნი არც იცინიან და არც გონებაგანიფანტებიან.
- ნუ უგულებელჰყოფ შენს ცხოვრებას და სჯულის წინააღმდეგ ნურაფრის გულისთვის ნუ წახვალ, რათა უსჯულოდ არ ადესრულო.
- სრულის უეჭველობით დაიხსომე ეს ყოველი, რათა გადიდონ შენ ამათ ყოველთა.
- კეთილსინდისიერი ცხოვრების მოშურნე იყავი, რათა ცოდვილთა შეწევნას ესწრაფებოდე.
- ქედმაღლობისაგან თავი მოიზღუდე და ნურც ნურავისთან იჩხუბებ, რომ მედიდურობისათვის არ განიკითხო.
- სხვისი დაცემა ნუ გაგაცინებს, რათა იმან არ დაგცინოს, ვისგანაც არ გინდა რომ დაიცინო.
- დაიმარხე ეს რჩევები, რომ მით დიდების გვირგვინი მოიღო.
- ამათ მცნებათა აღასრულებდე, რათა იდიდო მათგან წინაშე კაცთა და სათნოგყონ შენ წინაშე უფლისა.
- ეცადე მუდამ წარემატებოდე კეთილსაქმეებში.
- ხოლო მხედარიც არ განითქმება თუ უწინარესად, ხანგრძლივად არ გაიწვრონა და გამოიცადა შრომასა და ბრძოლაში და შემდგომად არ გამოსჩნდა მძლეველად.
- მით უფრო ვერავინ შეიქნება დირსი ზეციური და ჭეშმარიტი მეუფისაგან სულიწმიდის ზეციურ მადლის მიღებისა, თუ უწინარეს არ გაიწვრონა წმიდა მცნებათა სწავლებით. ამდენად, ვერც თვით მადლის ზეციურ საჭურველს ვერ მიიღებს და ბოროტ სულებთან ბრძოლაში ვერ გავა.
- რამდენადაც წარემატება კაცი სულიერ დვაწლში, იმდენად ამაღლდება იგი სულის საიდუმლოთა სიმაღლეზე და სიბრძნის საიდუმლო საგანძურში.
- კაცი რაოდენცა აღივსება მადლით, იმდენად წარემატება იგი ბოროტის ზრახვათა შეცნობაში, უფლის შემწეობით. რომლისა არს ძალი და დიდება უკუნისამდე! ამინ.

„Добротолюбие“ т. 2. М. 1905

რუსულიდან თარგმნა
მონოზონმა ანამ (ნიაური)

WMIDA MTIS WMIDA KINOTIS WERILI PATRIARQ BARTOLOMEOSS

წმიდა მთის წმიდა კინოტმა უაღრესად მნიშვნელოვანი წერილი გაუგზავნა მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოსს, 2014 წლის ნოემბერს კონსტანტინოპოლიში პაპის ვიზიტაზ და ერთობლივი მსახურების ჩატარებასთან დაკავშირებით.

წერილი დაწერილია 2014 წლის 31 დეკემბერს. მასში მთაწმიდელები გულისტკივილს გამოთქვამენ, უწმიდეს ბართოლომეოსის რომის პაპთან თანამწირველობისა და ლიტურგიკული ამბორის გამო, რაც წმიდა მთის ოცივე მონასტრის შეფასებით, მთაწმიდელთა იმ ტრადიციის უგულველყოფაა, რომლის მიხედვითაც, ლათინები მწვალებლებად არიან შერაცხულნი.

თანახმად წმიდა მამათა გარდამოცემისა, მთაწმიდის ყველა მონასტრისათვის მიუღებელია „ლათინთა ბრძნობის“ თანამოაზრება. წმიდა კინოტი კონსტანტინოპოლის პატრიარქს შეახსენებს, რომ პაპსა და პატრიარქს შორის ე.წ. პერსონალური ურთიერთობის საფუძველზე, XI საუკუნის ანათემა არ განიხილება, თუმცა ამის მცდელობა პქონდათ 50 წლის წინ, პატრიარქ ათინაგორასა და პაპ პავლე VI-ს.

რედაქცია



წმიდა ათონის მთის წმიდა კინოტის შენობა

ეოვლადუწმიდესო მამაო და მეუფეო,
ღმრთისამიერი პატივით და შვილებრივი
კრძალვით მოგმართავთ თქვენო უწმიდესო-
ბავ, რომელნი დღედაღამ მოვისხენიებთ
თქვენს სათნო სახელს და მდაბლად აღვა-
ლენო ლოცვებს, რათა უფლის მოწვალება
მოვიდოთ კარსმომდგარ ახალი წლისათვის.

ჩვენ, რომელნი ესე დირს ვიქმენით
ღმრთისამშობლის წილხვედრ წმიდა სა-
ვანეში დამკაიდრებისა, რომელნი აღვას-
რულებთ საღვთისმსახურო წეს-განგებებს
და რომელნი ვკითხულობთ და მოვისხე-
ნიებთ ღმერთშემოსილ მამათა თხულებებს,
განსაკუთრებულ პატივს მივაგებთ წმიდა
მღვდელმოწამე კოზმა პირველს და მისთა-
ნა ყოველთა მოწამეთა, რამეთუ მათი აღმ-

სარებლური დგაწლითა და სისხლით „უბი-
წოდ დამარხულ არს ეკლესია ცდომათა და
მწვალებლობათაგან,“ და რამეთუ მათ არა
ინებეს თანაზიარება და თანამზრახელობა
ლათინთა ბრძნობათა“ (III საგალობელის
ტროპარი და კონდაკი).

წმიდა ნიკოდიმოს მთაწმიდელთან ერთად,
ჩვენ განვადიდებთ აგრეთვე წმიდა მარკოზ
ეფესელს, ევგენიკოსს, რამეთუ „მან სიმტკიცე
გამოიჩინა სადმრთო სარწმუნოების
მგმობელ ლათინ მწვალებელთა წინაშე“
(მცირე მწუხრის დიდებისმეტყველების სი-
ტყვები). ჩვენ აგრეთვე ვიმოწმებთ ღირსი
სილუან ათონელის მგზებარე სიტყვებს:
„რაოდენ ნეტარ ვართ მართლმადიდებლები,
რამეთუ უფალმა მოგვანიჭა სულიწმიდით

Τῇ Αὐτῷ Θεοτάτῃ Παναγιότη
Τῷ Οἰκουμενικῷ Πατριάρχῃ
Κυρίῳ καὶ ΒΑΡΘΟΛΟΜΑΙΩ
Πανστεβάστῳ Πατρὶ ἡμῶν καὶ Δεσπότῃ
Εἰς Φανάριον

Παναγιώτατε Πάτερ καὶ Δέσποτα,

Τὴν Ὑμετέφαν Θειστάπτην Πανεγιήπητα βαθυσεβάστος ἐν Κυρίῳ προσαγο-
ρεύοντες, τομβάλλοντες τὸ οὐλόν μηδίν οἰστρας καὶ τὰς ταπεινές εἰδῆς διὰ τὴν ἀπόθεμα
ἐπιτολήν ἡ τοῦ νέου ἐναυτοῦ τῆς χρονοπέτησος τοῦ Κυρίου, νυνηθέντων μημνεύοντες τοῦ
σεπτεμβρίου Υψών ὄντων ταῖς πρὸς Κύρου ταπειναῖς δεσμοῖς ἥμων.

Α'Ειδωλίνες έγκαταθούν εἰς τὸ ιερὸν τῆς Κυρίας Θεούσσων Πειμβόλιον, τελειώντες τὰς Ιεράς Δικούλωνσάς ή διανήγουντον τὰ τῶν θεοφόρων πατέρων συγχράμματα, διλλότε μὲν τιμώντων τὸν ἦγιον Ιερομάρτυρα Κομῆν τὸν Πύρων καὶ τοὺς σὺν Αἵνῳ, Διούπῃ μὲν τῷ δημόλογον καὶ τὸ ὄμα των «ἔνθησαν μηνὸν τὴν Ἔκκλησιν ἐπὶ τῆς παλάτης καὶ τῆς αἰρέσεως» φημι θελήσαντας συγκονιήσας καὶ συμφωνήσας τοῖς Λαττνόφοροι (φροπάσιν τρίπτης μᾶλις καὶ Κοντάκιον), διλλότε δὲ μετὰ τοῦ «Οἴσιν Νικοδήμου τοῦ Ἀγιούσσου μακαρίζουμεν τὸν Ἄγιον Μάρκον Ἐπέρσου τὸν Ἑλεγενόν, διὰ τὸν ἀνθρώπον διάνεστος τὰς διάναντας ἐπιφοράς, τῆς θείας οἰκτίων λιμαινομένης τοῖς παραχράξταις Λατίνοις» (Δομεστικὸν μακριό ἐπονεούν) καὶ διλλότε διαγνωσκόντων τὸν «Οἴσιν Σλαυονὸν ἀνθρώπον: Πάσον μακάριον είμεθα οἱ ὁρθόδοξοι χριστιανοί διὰ δὲ Κύνος ἔδουκεν ήτη τὴν κοψή ἐν Πτενεύματα... Πιτεων μόνον εἰς τὴν ὁρθόδοξον Ἐκκλησιαν, διδού εἰς Αἴνῳν ενίσκοντεα η καρδία τῆς σωτηρίας, ήτις διποτάται διὰ τῆς πατενίστωντος ἐν Χριστῷ!»

წმიდა ათონის მთის
წმიდა კინოგის სიგელი

ცხოვრება... მრწამს მხოლოდ მართლ-
მადიდებელი ეკლესია, რამეთუ მის წიაღშია
დამკვიდრებული მაცხოვნებელი მადლი,
რომელიც მხოლოდ ქრისტესმიერი სიმდ-
აბლით მოიხვევება:“

ამ სულიერი ტრადიციით და წმიდა მაბ-
ების მიერ გაწეული ღვაწლით გამსჭვალუ-
ლებს, რომელთაც განმაახლებლობისაგან
დაიცვეს ეკლესია, ჩვენ გვიმძიმს იმის გაგება,
რაც წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების
დღესასწაულზე მოხდა. კერძოდ, როდე-
საც წმიდა მსხვერპლშეწირვის ჟამს წმიდა
საკურთხევლიდან გამობრძანდა ოქვენი უწ-
მიდესობა და ლიტურგიკული ამბორისათ-
ვის მიეახლა რომის პაპის ომოფორიონს,
ხოლო პაპმა კვლავ ხმამაღლა აღავლინა
საუფლო ლოცვა („მამაო ჩვენ“)!

ხევნ, რომელნი მამათა და ძმათა წმიდა
სახელმწიფოში დგაწლით ცხოვრებას აღ-
ვასრულებთ, უაღრესად შემფორებულნი
ვართ და მწუხარებას გამოვთქვავთ იმისთ-
ვის, რაც ზემოთ მოგახსენეთ და რაც მარ-
თლმადიდებლურ დოგმატურ და ლიტურ-
გიკულ საკითხებს შეურაცხყოფს; ეს
მოვლენები აზიანებს და უხერხეულ გრძნო-
ბებს იწვევს მსოფლიოს ქრისტიანულ წრეე-
ბში; ჩნდება აზრი, რომ საღვთისმეტყველო
დიალოგებს არავითარი სარგებელი არ
მოაქვს და რომ ამ მოჩვენებითი სარწმუ-
ნოებრივი ერთობით მხოლოდ საცდური

იქმნება; ამდენად, სარწმუნოების ერთიანობაზე ოცნება გარდაუვალი სინამდვილით უნდა წარმოჩნდეს, რადგან სინამდვილეში, დასავლური ეკლესიის სეკულარიზმით იმედგაცრუებული მრავალი კათოლიკეც კი პაპიზმის ერეტიკული სწავლებიდან გამომდინარე, მართლმადიდებელ ეკლესიაში ეძიებს გამოსავალს.

თქვენი უწმიდესობაგ, ვითარცა წმიდა
კინოტი,ჩვენს ძებრ (შვილებრივ) მოვალეო-
ბად ვრაცხო, რათა თქვენამდე მოვიტანოთ
ჩვენი ასპარეზი (ბრძოლა) და სწრაფვა იმი-
სა, რაითა ერთი იუოს და ურყევი სრულიად
მართლმადიდებელთა ამ წმიდა მთის სხე-
ული. ჩვენ არ დავფარეთ, რომ გვაწუხებს
და გვაშფოთებს 50 წლის წინანდელი დრა-
მატული მოვლენების აღორძინების შიში,
რომელზე უარესზე ფიქრიც კი შეუძლე-
ბელია და რამაც ავადყოფური შედეგე-
ბი გამოიღო. ამის შესახებ ჩვენ ცნობად
გაწვდით წერილში №1/7/1679/18.7.2014.



კონსტანტინებოლის პატრიარქ ბართლომეო-
სის და პაპ ფრანცისკო I-ის
„ლიტურგიკული ამბორი“

ჩვენთვის ცნობილია ის მძიმე ტვირთი, რომელიც თქვენ გაწევთ და გულისტყივილით და შვილებრ გთხოვთ, რათა მამობრივი მზრუნველობით დაამშვიდოთ სულნი ძმათა ჩვენთანი „რომელთათვის ივნო ქრისტემ.“

წმიდა მთის მონასტრების ყველა, ოცივე
მონასტრის მეთაურთა ერთობლივი კრებუ-
ლის წარმომადგენელი.

კარიქსი 18/31 დეკემბერი 2014
ბერძნულიდან თარგმნა
ირინე გარაყანიძეშ
ფილ. მეცნ. დოქტორი



რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მმიდა
სინოდმა დაადგინა სათვეო კალენდარში ღირსი
მამა გაბრიელის ხსენება

2014 წლის 25 დეკემბერს, მოსკოვის წმიდა დანიელის მონასტერში, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა გაიმართა, სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი კირილეს თავმჯდომარეობით. სხვა მრავალ საკითხთან ერთად, სხდომაშ მოისმინა და განაჩინა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სათვეო კალენდარში კანონიზირებულ წმიდათა შეტანა – მათ შორის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ კანონიზირებული ღირსი გაბრიელ აღმსარებელისა და სალოსის ხელნება.

წმიდა სინოდმა დირსი გაბრიელ ქართველის (ასე მოიხსენიებს რუსეთის წმიდა სინოდი) ხესნების დღედ დაადგინა 2 ნოემბერი, როგორც ეს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ განაჩინა.

ARQIMANDRITI LAZARE (GAGNIZE)

SAYOVEL TAO SAMSJAVRO

უფალ იესო ქრისტეს მოძღვრება სიყვარულის მოძღვრებაა. და ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს მოძღვრებად დაუტოვა არა რაღაც შეზღუდული, ეგოცენტრული სწავლება, პიროვნული ხსნის შესახებ, არამედ ახალი აღთქმა, რომლის უმთავრესი მოწოდებაა ურთიერთსიყვარული, მოყვასის სიყვარული, შემდგომად დვოის სიყვარულისა, უმთავრესი მცნებაა, რომლითაც ადამიანი იწოდება ქრისტეს მოწაფედ, მხოლოდ „ამით ცნან ყოველთა, ვითარებდ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდეთ ურთიერთას“ (იო. 13,35) – შეაგონებს იესო ქრისტე ყველას, ვინც აპირებს გაჰყვეს მის მოძღვრებას. სიყვარული არის საძირკველი ეკლესიისა, თავად ეკლესიის ცხოვრება, წმიდა ეგნატე დმერთშემოსილის სიტყვით, ეს არის „რწმენისა და სიყვარულის ერთობა“.

სიყვარულის უქონლობა შობს ცოდვას. უსიყვარულობა არის თვითიზოლაცია, გაქცევა, ჭიდილი ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ. ახალი, ქრისტეს მიერ მოცემული ცხოვრება, რომელიც წმიდა ეკლესიამ გადმოგვცა, უწინარეს ყოვლისა, ურთიერთშერიგებით ცხოვრებაა, „განძნეულთა ერთმანეთთან მიყვანება“ და გაერთიანება, ცოდვით დანგრეული სიყვარულის აღდგინება.

ისმის კითხვა, როგორ უნდა შეძლოს ადამიანმა დმერთთან დაბრუნება? რა უნდა მოიმოქმედონ ადამიანებმა, რომ ურთიერთშერიგებას მიმართონ მაშინ, როცა გაერთიანებისაკენ მიმავალი გზისთვის ვერ მიგვიგნია და ვერ აღმოგვიჩენია ახალიაღთქმისეული სიყვარული? ჩვენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, არა მარტო ერთმანეთისთვის, ცოცხლებისთვის ვლოცულობთ, არამედ – მიცვალებულებისთვისაც. ეკლესის მხრიდან მიცვალებულებისათვის ლოცვა არის ამ სიყვარულის ნათელი გამოხატულება. ჩვენ ლოცვას აღვავლენთ უფლის მიმართ და შევთხოვთ მას, რომ მოიხსენოს ყველა გარდასული, ყველა შესვენებული, ყველა, ვინც ჩვენგან შენდობას ითხოვს. ჩვენ მოვიხსენებთ მათ სულებს,

რადგან ისინი გვიყვარს. და რადგან ჩვენ ამ ადამიანებისათვის ვლოცულობთ, ჩვენ მათ უხილავად ვხვდებით ქრისტეში, რამეთუ ქრისტე სიყვარულია. და მან სიყვარულითვე სძლია სიკვდილს და საბოლოოდ, სიყვარულითვე სძლია ქრისტემ ცოცხალთა და მიცვალებულთა შორის განშორებას და უსიყვარულობას.

ქრისტეში ცალ-ცალკე არ არსებობენ ცოცხლები და მიცვალებულები, რადგან ქრისტეში ყველანი ცოცხალნი არიან, ქრისტე არის ცხოვრება და ცხოვრება არის ნათელი ადამიანებისათვის; რადგან ჩვენ გვიყვარს ქრისტე, ჩვენ გვიყვარს ყველა, ვინც ქრისტეშია და რადგან ჩვენ ყველა გვიყვარს, ვინც ქრისტეშია, ამით ჩვენ გვიყვარს ქრისტეც. ეს არის ეკლესის კანონი და მიცვალებულთათვის ლოცვის ხილული საფუძველიც.

მიცვალებულთა ხსენების განმსაზღვრელი იდეა ეფუძნება სიყვარულს, მისი უაღრესად ფართო გაგებით. სიყვარულის თემა აქ თავისებურად არის ჩართული. გავიხსენოთ სახარებისეული საკითხავი: მათეს სახარებისეულ იგავში წინა პლანზე წამოწეულია თემა უკანასკნელი და საყოველთაო სამსჯავროს შესახებ (მთ. 25,31-46). ქრისტიანული სწავლებიდან ცნობილია, რომ უკანასკნელ უამს, უკანასკნელ და საყოველტაო სამსჯავროზე განმკითხველი იქნება მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. ბუნებრივია, ისმის კითხვა, თუ რა ნიშნით მოხდება ჩვენი განკითხვა, როდესაც უკანასკნელ უამს საშინელ სამსჯავროზე მობრძანდება უფალი იესო ქრისტე? – იგავი ერთნიშნად გვპასუხობს, რომ განმსაზღვრელი იქნება სიყვარული. აქ საუბარია არა რაღაც აბსტრაქტულ სიყვარულზე, არამედ კონკრეტულ და პიროვნულ სიყვარულზე ადამიანის მიმართ, პიროვნების მიმართ, ვისთანაც ლმერთი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში შეგვახვედრებს. აბსტრაქტულ და კონკრეტულ სიყვარულს შორის განმასხვავებელი ზღვარის გავლება აუცილებელია, რადგან დღესდღეობით სულ უფრო იზრდება ქრისტეს იმ მიმდევართა რიცხვი დასავ-

ლურ სამყაროში, რომლებიც ქრისტიანულ სიყვარულს ათანაბრებენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ინტერესებთან. მაგრამ ქრისტიანული სიყვარული სულ სხვა რამაა. ეკლესია თავისი მისის ერთგული უნდა დარჩეს მარად, რომელიც დვოთისა და მოყვასის სიყვარულს ეფუძნება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა წლიდან-წლამდე ძლიერდება. ამას ყველა ქართველი უნდა აცნობიერებდეს და არ უნდა ავყვეთ დასავლეთიდან თავსმოხვეულ უზნეობის პროპაგანდას, რომელსაც ეკლესიისა და ერის



მტრები და მოდალატები ეწევიან. ჩვენ, ქრისტიანი, სიყვარულით და სათხოებებით წინ უნდა აღვუდგეთ ერის გათოშვას, უზნეობას. მართლმადიდებელი მრევლის იარაღი არის ქრისტეს ჯვარი!

ძალიან ახლოს არის უკანასკნელი უამი.

დავუბრუნდეთ ისევ საყოველთაო სამსჯავროს. სახარება გვაუწყებს, თუ როგორ აღესრულება უკანასკნელი და საშინელი სამსჯავრო, რომელზედაც განისაზღვრება ყოველი ჩვენგანის სამარადისო ხვედრი. არავის არ უნდა გაუქნდეს ეჭვი იმის თაობაზე, რომ ის, რაც სახარებაში წერია, აუცილებლად აღსრულდება: „ცანი და ქუეყანა წარხდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარხდენ“ (მთ. 24,35), შეგვაგონებს უფალი იქსო ქრისტე, რომელიც არის თავად ცოცხალთა და მკვდართა განმკითხავი. ყოველ ჩვენგანს უკანასკნელ და საყოველთაო სამსჯავროზე საუბრისას, მაგრამ უნდა ვი-

ცოდეთ, რომ საყოველთაო სამსჯავროს აღსრულებამდე, მოხდება მიცვალებულთა საყოველთაო აღდგომა.

აღმდგარი სხეულები არსობრივად ისეთივენი იქნებიან, როგორიც ეკუთვნოდა სულებს ამქვეყნად ცხოვრების დროს, მაგრამ მოხდება მათი გარდაქმნა. სულები შეიქმნებიან უხრწელნი და უკვდავნი. მათი აღდგომის შემდგომი ცხოვრება მიემსგავსება უსხეულო სულთა – ანგელოზთა ცხოვრებას. რაც შეეხება ცოდვილებს, მათი სხეულებიც აღდგებიან ახალი სახით და მიიღებენ უხრწელებასა და სულიერებას, მაგრამ მათზე აისახება ცოდვილის მშვინვერი მდგომარეობა.

ამა სოფლის აღსასრულისა და მის ახალ სამყაროდ გარდაქმნასთან ერთად, განიღება საუკუნო სასუფეველი ღვთისა, დადგება სუფევა დიდებისა. დასრულდება მებრძოლი მიწიერი ეკლესიის არსებობა, იგი შეერწყმება ზეციურ ეკლესიას. მოვისმინოთ პავლე მოციქულის გამონათქვამი ამის შესახებ, კორინთელთა მიმართ ეპისტოლედან: „მაშინდა აღსასრული, რაჟამს მოსცეს სუფევაი დმერთსა და მამასა, რაჟამს განაქარვნეს ყოველნი მთავრობანი და ყოველნი ხელმწიფებანი და ძალი. რამეთუ ჯერ არს მისა სუფევაი, ვიდრემდის დაისხენეს ყოველნი მტერნი მისნი ქუეშე ფერხთა მისთა. ვითარცა იგი უკანასკნელი მტერი, განქარდეს სიკუდილი... ხოლო რაჟამს დაემორჩილოს მას ყოველი, მაშინ თავადიცა ძე დაემორჩილოს მას, რომელმან იგი დაამორჩილა მას ყოველი, რაითა იყოს ლმერთი ყოვლად ყოველსა შინა“ (I კორ. 15, 24-26, 28). ამასთან, ღვთის სასუფეველის მომავალი მკვიდრნი, ანგელოზთა დარად, ლირსნი შეიქმნებიან ღმრთის ხილვისა და მისი დიდების ჭვრეტისა და ისინი გახდებიან არა მარტო დიდების მჭვრეტელნი, არამედ თავადაც მიიღებენ მასში მონაწილეობას და როგორც ქრისტეს თანამემკვიდრენი, მასთან ერთად დასხდებიან საყდარზე და მის მეფურ დიდებას გაიზიარებენ (გამოცხ. 3,21).

მაგრამ, ეკლესიის მამების აზრით, ლმერთში განდიდება მოხდება ყოველი ადამიანის ზნეობრივი ლირსების შესაბამისი ხარისხით.

IRUMENIA QETEVANI (KOPALIANI)

შუთისოფელი ჭარმაგალია

„იხარეთ ორთავ სოფელსა შინა“
უწმიდესი და უნეტარესი ილია II



ღმერთი სამყაროს განმგებელია,
უზენაესი შემოქმედია,
სამება ერთ არს, ერთადერთია,
ყოვლისმძღვანელია და საკვირველია.

იგი მეუფებს ყოველთა არსთა,
მართლმსაჯულია „ცოცხალთა – მკვდართა“,
უფალი სწყლავს და აცხოვნებს კაცთა,
გულმოწყალეა, მშვიდი და მდაბალ.

სიკვდილ-სიცოცხლე იდუმალია,
ვითა ნოესა კიდობანია,
სიცოცხლე ესრეთ შვენიერია,
გარნა „სიკვდილი შენაძენია“.

იხარებსაო ორთავ სოფელსა,
ვინცა კეთილად განვლო დღენია,
სიკვდილი ფრიად საზარელია,
ვინც აღესრულა უნანელია.

სად სიწმინდეა, სიწრფოებაა,
იქ მადლია და სიტკბოებაა,
სად სიცრუეა, ორგულებაა,
მუნ ეშმაკი და ბოროტებაა.

სად სიმდაბლეა, მუნცა ქრისტეა,
უფალი იშვა ბაგასა შინა,
ნებსით ჯვარს ეცვა გოლგოთაზედა,
აღასრულებდა ნებას მამისა.

ყოველივეო თავს იდვა ღმერთმან:
გინება, ნერწყვა, კიცხევა, წყევა....
მართალი არვის არ აგინებდა,
შეუნდობდაო შურისმგებელთა.

„სასუფეველი შორის თქვენსაა“ –
სად შვებაა და სიხარულია,
ვიყვარებოდეთ ურთიერთარსა,
რამეთუ ღმერთი სიყვარულია.

სასუფეველი მსგავს არს ვაჭრისა,
რომელ ეძიებნ მუნ მარგალიტსა;
პპოოს რა იგი მარგალიტია,
წარვიდისაო, მოიყიდისა.

წუთისოფელი წარმავალია,
სიკვდილი ყველას თანამგზავრია,
არვინ უწყისა განსვლის ქამია,
დღეს ცოცხალია, ხვალ კი – მკვდარია.

სიკვდილი კაცთა ერთი წამია,
ვითა მტკერიო მყის განქარდება,
ხორცი მიწა, მიწას ბარდება,
სული უკვდავი ზეცად მაღლდება.

უცნობი არსო სიკვდილის ქამი,
იგი მოვალსო ვითა მპარავი,
ჩვილიც მიჰყავსო, ასაკოვანიც,
უფალმან უწყის მათი სამზღვარი.

ყველა თავისი სიკვდილით კვდება,
ხორცი მიწაში იხრწნება, ლპება,
სული უკვდავი ხორცს გაეყრება,
ადამიანი გარდაიცვლება.

სიკვდილი ყველას ათანასწორებს,
ყოველი წამი უამს გვახლოებს,
სხვა სიდიადეს ნურას უეძიებთ,
ვაქებდეთაო კაცთა გამომხსნელს.

აქ შეგიწყალებს ბოროტმოქმედსა,
ვით ავაზაკსა, ვით მეზვერესა,
გარნა იმქვეყნად უნანებელსა,
ცეცხლსა მიგცემსო წარსაწყმედელსა.

არ შეუქმნია სიკვდილი ღმერთსა,
ურჩებითაო შემოხდა ქვეუნად,
პირველქმნილიო ადამ და ევა –
მზაკვრის რჩევითა გარდახდა მცნებას.

ოდეს უფალი დიდებით მოვალს,
ძალნი ცათანი შეიძვრებიან,
შიშის ზარიო შეიპყრობს ყველას,
საშინელ მსჯავრის მოლოდინშია.

ვინ არს მეფე და ვინა მდაბიო,
ვინ არს ბრძენი და ვინა უგნური,
სიკვდილისათვის ყველა ერთია,
ბატონი იყოს, ვინა მსახური.

ნუ უმზერ სიკვდილს შიშით და ძრწოლით,
იგი ძილია ხანგრძლივი დროით,
ხან ახლოსაა, ზოგჯერ კი ყოვნის,
შევინანოთო, სიკვდილი მოდის.

უზომო ცრემლთა ღვრა და გოდება,
შეურაცხეყოფსო, ვინც სიკვდილს სძლია,
მკვდრეთით აღდგომას აღდგება ყველა,
უცოდველია თუ ცოდვილია.

სასოწარკეთა და ცრემლთა ფრქვევა,
არ არისაო მკვდართ პატივცემა,
წირვა-ვედრება და მოწყალება,
შეეწევისო სულთა იმქვეყნად.

შვილი დაპარგე? მადლობდე ღმერთსა,
ნუდარა გლოვობ, თავს ნუ იტანჯავ,
სული წარვიდა, ამაღლდა ზეცად,
მარადიულში გადაინაცვლა.

ვხედვიდეთ ძეთა, მაკაბელთ დედას,
შვილები მიწას რომ მიაბარა,
ვითა იობი მხედა ითმენდა,
ღმერთს სამადლობელს აღუგლინებდა.

იტირე მკვდარი ღვთის სასოებით,
ვით „ცრემლეოდა“ ლაზარესათვის,
ნუ მოიქცევი ურჯულოსავით,
რომელთ არა სწამთ სული უკვდავი.

ვითარ აღდგება ვინცა მომკვდარა,
გახრწნილია და მიწამ შეშკამა,
ზღვაში დანთქმულა, ცეცხლში დამწვარა,
ზოგიც ნადირთა მსხვერპლი გამხდარა.

ღვთის განგებითა ყოვლი სტიქია,
დააბრუნებსო რაც მიუდია,
საყვირის ხმაზე მუნ აღდგებიან,
განკითხვის დღესა განისჯებიან.

სიკვდილის შემდგომ სული არ ქრება,
ადამიანი ღვთივ განახლდება,
უცხო სახითა არ გარდიქმნება,
ადამი კვალად ადამად რჩება.

ძველი სამყარო მუნ განქარდება,
დაინთქმება და აღარ იქნება,
ნაცვლად ახალი ცა და ქვეუანა,
სასუფეველი დაემკვიდრება.

ყოვლადწმიდაო დედა ღვთისაო,
მარიამ წყარო ცხოვრებისაო,
შარავანდოო სამებისაო,
საფსალმუნეო დავითისაო.

ვარდო – შროშანო სამოთხისაო,
წინამძღვარო ნინოვსაო,
მოხედენ ივერთ ეკლესიასო,
დაიფარენო შვილნი ღვთისაო.

SARWMUNOEBA DA MECNIEREBA

XX საუკუნის 20-იანი წლები საქართველოს ისტორიაში სამი ღირსშესანიშნავი თარიღით გამოირჩევა: 1917 წლის 25 მარტი – საქართველოს სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის (ავტოკეფალიის) აღდგენა; 1918 წლის 8 თებერვალი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება; 1918 წლის 26 მაისი – საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა (დამოკრატიული რესპუბლიკის შექმნა).

1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალი), წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ხენების დღეს, დაარსდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქართული უნივერსიტეტი, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო მომავალი უნდა წარემართა. იგი უნდა ყოვილიყო ერთის მხრივ ქართული საგანმანათლებლო აკადემიების: ფაზისის, გელათის და იყალთოს სამეცნიერო-კულტურული ტრადიციების გამგრძელებელი და მეორე მხრივ – ევროპის უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დონის მომცველი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბრძანებს: „შემთხვევითი არ არის, რომ დავით აღმაშენებელმა უმაღლესი სასწავლებელი მონასტერთან დაარსა. ასკეტიზმი ორივე რჩეულთა ხვედრია და მათი შერწყმა იდეალურ პიროვნებაში ხდება“... შემთხვევითი არ არის, ისიც, რომ გელათის აკადემიას უწოდებენ მეორე იერუსალიმს და მეორე ათენს. იერუსალიმით აღინიშნებოდა მისი მაღალი სულიერება, ხოლო ათენით – მაღალი მეცნიერული დონე.

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნას განსაკუთრებული მოლოდინით და მიზნებით შეხვდა ქართული საზოგადოება და გამორჩეულად – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. უნივერსიტეტის გახსნას წინ უძღვდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის (დამოუკიდებლობის) აღდგენა (1917 წ. 25 მარტი), რომლის

პირველმა მწყემსმთავარმა, მღვდელმოწამე კირიონ II-მ, წმიდა სინოდის თანამწირველობით, უნივერსიტეტის გახსნისათვის წირვა აღავლინა. დვოისმსახურება შესრულდა ახლადგახსნილი უნივერსიტეტის I კორპუსის სამლოცველოში. წირვის შემდგომ სიტყვა წარმოთქვა მღვდელმოწამე კირიონ II-მ, რომელიც ჩვენ აქ სრულად მოგვყავს:

„მოგვეც ჩვენ, უფალო, გული ბრძენი და გონიერი“ (3 მეტ. III, 12).

„ცოდნის და მეცნიერების მიმდევარნო! დღეს შევიკრიბენით ამ წმინდა ტაძარში, რომ გამოვითხოვოთ დვოისაგან კურთხევა ქართული უნივერსიტეტის გახსნისათ-



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (სამაგლიშვილი)

ვის. ამ ძვრა-რყევა და სიყმილის დროს ჩვენ შესაძლოთ დავინახეთ საძირკველი ჩაუყაროთ ქართულ მაღალ კულტურულ დაწესებულებას, რომელმაც უნდა შეიგანოს მეცნიერების შუქი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და რომელიც შეადგენს ჩვენი ხალხის სიამაყეს. ეხლა თქვენს ხელშია ბატონო პროფესორნო ბედ-იდალი ამ მაღალი სამეცნიერო ტაძრისა. ჩვენი გული ივსება სიხარულით, რომ სიბრძნეს, რომელიც დაუსრულებელია, ვნერ-

გავთ ამიერიდან ჩვენ ხალხში. ამ დღესაც მოვესწარით, რომ ქართულ უნივერსიტეტს ვხსნით. განა ამ ორიოდ-სამი წლის წინად შეგვეძლო ამის წარმოდგენა?! ჩვენი განიოსის ნათქვამისა არ იყოს: „კეთილმან სძლია ბოროტსა, სიცოცხლე მისი გრძელია“.

გვონებ, შემთხვევით არ მოხდა ქართული უნივერსიტეტის გახსნა დღევანდელ დღეს, როდესაც ჩვენი ეკლესია დღესას-წაულობს წმიდა მეფე დავით IV აღმაშენებლის დვაწლს. ამან აღადგინა ეკონომიუ-



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე (ცინცაძე)

რად საქართველო, გააძლიერა და დანერგა კულტურაც. განურჩევდა ხალხოსნობისა და სარწმუნოებისა, იგი მფარველობას უწევდა მეცნიერებას, აავსო მეცნიერი ხალხით თვისი სასახლე, რომელიც წარმოადგენდა სამეცნიერო აკადემიას და მან პირველმა ქართველთა გვირგვინოსანთა შორის ჩაჰუარა მკვიდრი საძირკველი აკადემიისა იყალთოს მონასტერში.

ლტოლვილებამ სინათლისადმი, ცოდნის წყურვილმა და ჭეშმარიტების სიყვარულ-მა შეპრიბა დღეს აქ აუარებელი ხალხი. კაცი შექმნილია სინათლისათვის და თვით ბუნებისაგან ჩანერგულია მასში ღვთიური

ნიჭი – ძიება ჭეშმარიტებისა, რომელიც ჰქმნის კაცს თავისუფლად. გილოცავთ ჩვენი პირველი უნივერსიტეტის ხელმძღვანელნო და ვისურვებ ჩვენი საზოგადო საქმის წარმატებას საკეთილდღეოთ ჩვენი ერისა. განათლებით ირჩევა კაცი კაცისგან. იგი ფასდაუდებელი საუნჯეა, რომლის შეძენას ბევრი დრო, მოომინება და ცოდნა უნდა. განათლებას ფასი და მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ აქვს, როცა მას რიგიანათ გამოვიყენებოთ.

სარწმუნოება არასდროს მტრულად არ უცქერდა მეცნიერებას და ამიტომ იგი მუდამ ეკედლებოდა სარწმუნოებას, მაგ. ქალდეაში, ასურეთში, მოსრეთში, ბიზანტიაში და სხვა ქვეყნებშიც. ქურუმები მუდამ ესარჩლებოდნენ მეცნიერებას და თვითონაც ერთად-ერთი მისი წარმომადგენლები იყვნენ. ქრისტიანობის ხანას, როდესაც მან მიიღო სარწმუნოებრივი უფლება, თავსაფარად ჰქონდა ქრისტიანული მონასტრები, რომელშიც გაჩადებული იყო სწავლა-განათლება. ნამდვილ სამეცნიერო კერებს წარმოადგენდნენ ჩვენი ლავრები და მონასტრები: დავით გარეჯის ფიბიდა, იოანე ნათლისმცემლის უდაბნო, იყალთო, გელათი და სხვ. საშუალო საუკუნეებში, როდესაც მეცნიერებას დაუდგა მეტად ბნელი ხანა, როდესაც მისი არსება ბეწვედ ეკიდა და ყველას ეგონა, რომ მისი შუქი სამუდამო ჩაჰურებოდა, მხოლოდ ბერების მოდვაწეობის წყალობით, არ ჩაქრა იგი: ფილოსოფიის ქვის ძებნის გამო ბერებმა ბევრი რამ კაცობრიობისათვის სასარგებლო აღმოაჩინეს, გამოიგონეს და მათ მეცნიერება დაიფარეს.

სულით და გულით ვისურვებ, რომ ამ ჩვენ ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გახსნილიყოს ყველა განზრახული ფაკულტეტები და მიპმატებოდეს მათ საღვთისმეტყველო ფაკულტეტიც, როგორც ეს დასავლეთ უკროპაში არის მოწყობილი. იყავნ, იყავნ. ამინ!“

„სიტყვა თქმული კირიონ II-ის მიერ 26 მაისს“ უნივერსიტეტის გახსნის დღეს. გაზეთი „საქართველო“, №25, 1918 წელი, გვერდი 4.

სარწმუნოებისა და მეცნიერების ერთობაში ხედავდა საქართველოს მომავალს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე (1866-1952 წწ.), რომელიც უნივერსიტეტის გახსნისას, თანამზირველი იყო კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორისა და იმხანად დეკანოზმა კალისტრატემაც წარმოოქმდა სიტყვა:

„ოქეენო უწმიდესობავ, უწმიდესო და უნეტარესო, მამათმთავარო! ამ ტაძარს, რომლის საყდარზედაც შენ ისწრაფი უსისხლო მსხვერპლის შეწირვას, მეოხად ჰყავს აფხაზ-ქართველთა მეფე წმიდა დავითი. პატარა ქართველთა უახლოეს მფარველად შემთხვევით როდია აღრჩეული მეფე-აღმაშენებელი. მომავლის თაბის აღმზრდელთა და მზრუნველთა გულითა სწამდათ და პირით აღიარებდენ, რომ წმიდა დავითის მადლით, მის მიერ ერთხელ აღშენებული საქართველო კავლავ აღშენდებოდა და აჰყვავდებოდა.

სასოება ესვ, მიუხედავად ჩვენზედა მოვლინებულის ცეცხლისა და მახვილისა, სიყმილისა და სვრისა, თანდათან გვიძლიერდება, – წმიდის დავითის სახლსა ამას შინა დასადგურების შემდეგ, საქართველომ იწყო შენება: ასექვსი წლის ტყვეობაში ყოფილი საქართველოს ეკლესია კავლავ თვით თავადი გახდა, ნაწილ-ნაწილად დაყოფილი და დაქსაქსული ძენი მისნი ურთიერთობან შეთანხმდნენ და საქართველოს დამფუძნებლის კრების სამზადისში არიან, გადაგვარუებული სკოლა მოეგო თავსა თვისსა და დღეს ქართულის უნივერსიტეტის საფუძვლის ჩაყრით დაგვირგვინებულ იქნების, მოკლედ, – ისტორია მეორდება და დავით აღმაშენებლის დრო გვიბრუნდება...

მხიარულ იყავ, კავლავ თვით თავადის ეკლესის საჭეთ-მპყრობელობით სამშობლოს განთავისუფლების წინამორბედო, კადნიერებით შემოვედ სავანესა ამას დავით აღმაშენებლისასა და გულმოდგინედ შეგვავედრე ყოვლის შემძლებელს, რომ მოვესწრეთ წმიდის თამარის დროს მოსვლასაც. ამინ.

დეკ. კ. ცინცაძე.

გაზეთი „საქართველო“, №25, 1918 წელი.

გვერდი 4.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის მიერ წარმოთქმული სიტყვა, ქართველი საზოგადოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის რომ იყო – ამაზე ნათლად მეტყველებს ეპითეტები – „სამეცნიერო ტაძარი“, „ცოდნის ტაძარი“, რომდებიც მღვდელმოწამე კირიონმა დაუმკვიდრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. სამეცნიერო



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II (შიოლაშვილი)

და სასწავლო ტაძრად წოდებულ უმაღლეს სასწავლებელთან, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებს, მღვდელმთავრებს და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებს წარსულშიც (მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის გავლენისა) და ახლაც, ახლო ურთიერთობა აქვთ, რაზეც ნათლად მეტყველებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესის და უნეტარესის, მცხეთა-თბილისის, მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხემ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის მიერ, წარმოთქმული არაერთი ქად-



ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატი, რომელიც უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ შესწირა უნივერსიტეტს.

დაიწერა 1901 წელს, ათონის წმიდა მთაზე, იოანე ღმრთისმეტყველის ქართველთა სავანეში. ხატი დაცულია ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

აგება. მისი უწმიდესობა მოუწოდებს ქართველ ერს ეკლესიისა და სამეცნიერო დაწესებულების, კერძოდ კი უნივერსიტეტის დახლოებას.

ყოველთვის განსაკუთრებულია უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის სტუმრობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. განსაკუთრებული იყო 1998 წელი, როდესაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსებიდან 80 წლის იუბილეს აღნიშნავდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მისმა უწმიდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქამ ილია II-მ უნივერსიტეტს საჩუქრად – მეოთხად და მფარველად გადასცა ათონის ივერიის ღმრთისმშობლის ხატი – პორტა-იტისა, რომელიც დაწერილია ათონზე, იოანე ღმრთისმეტყველის ქართველთა მონასტერში 1901 წ.

განსაკუთრებულია ამ წმიდა ხატის იკონოგრაფია და მისი ისტორია, რომლის შესახებაც გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: ხატი ხის დაფაზეა შესრულებული, რომლის ზომებია $55,5 \times 42,5$ სმ. ფიცრის სისქე 3,5 სმ. ხატს მარცხენა ქვედა კუთხეში პორიზონტალურად გამოკვეთილი აქვს მართხულთა ფორმის წმიდა ნაწილთა ჩასაბრძანებელი, რომლის ზომებია: $4 \times 2,5$ სმ. სიღრმე 1,5 (ამჟამად ცარიელია). ფიცრის დაფაზე წარმოდგენილი იკონოგრაფია შესრულებულია შერეული ტექნიკით. საღებად გამოყენებულია: ოქრო, ტემპერა, ზეთი. ხატის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია ღმრთისმშობელი ყრმით ხელში (ოდიგიტრია). ღმრთისმშობელს მარცხენა ხელზე ყრმა უზის (რეპრეზენტაციული ანუ წარდგინებითი). მარჯვენა ხელით ყრმისკენ მიგვითითებს (გზის მაჩვენებელი). ყრმა იქსო მარჯვენა ხელით ლოცავს (მაკუთხეველი მარჯვენა). მარცხენა ხელში გრაგნილი უჭირავს. ღვთისმშობელს გვირგვინს ადგამს ორი ფრთოსანი ანგელოზი, რომლებიც ერთი ხელით გვირგვინს ადგამენ, ხოლო მეორე ხელში გაშლილი გრაგნილი უპყრიათ, ბერძნული წარწერით. ანგელოზების ქვემოთ, ღმრთისმშობლის და ყრმის უკან, მარჯვე-

ნა და მარცხენა მხარეს ორი წმიდანის გამოსახულებაა. ღმრთისმშობლის მარჯვენა მხარეს გამოსახულია წმიდა იოანე ღმრთისმეტყველი, რომელსაც მარჯვენა ხელში საწერკალამი უჭირავს (ბუმბული), ხოლო მარცხენა ხელში დახურული წიგნი (სახარება), მისი შარავანდედის ზემოთ იკითხება – „წმინდა იოანე“ ბერძნული წარწერა. ღმრთისმშობლის მარცხენა მხარეს და შესაბამისად ყრმა იქსოს უკან გამოსახულია წმინდანი სამხედრო სამოსში, რომელსაც მარჯვენა ხელში ჯვარი უპყრია, ხოლო მარცხენა ხელში შუბი; მისი შარავანდედის ზემოთ იკითხება – „წმინდა კირიონ, მართა“ ბერძნული წარწერა. ხატზე გამოსახულ წმიდანებს ახლავს განმარტებითი წარწერები ბერძნულ ენაზე, რომლებიც შესრულებულია ოქროსფერი და შავი საღებავებით. ხატის მარჯვენა მხარეს, ქვედა კუთხეში, შავი ფერის საღებავით აწერია თარიღი – 1901.

წარწერა, რომელიც ხატის ზურგზე ცენტრალურ ნაწილში, საგანგებოდ დახაზულ მართკუთხედ ჩარჩოში ექვს სტრიქონად არის განლაგებული, ხატის ისტორიას მოგვითხრობს. ჩარჩო და ტექსტი შესრულებულია შავი ფერის მელნით, მხედრული დამწერლობით, ხოლო გასაფორმებლად გამოყენებულია ასომთავრული გრაფემები. საზედაო გრაფემა (წ) წითელი ფერის სინგური მელნით არის შესრულებული. წარწერა ქარაგმების გახსნით შემდეგნაირად იკითხება: „წმიდა ხატი ეს სახელ წოდებით ივერიისა კარისა ღვთის მშობელი ეგზავნების ყდ (ყოვლად) სამდეღლელო ორლოვის ეპისკოპოსს კირიონს. ახალ სავანე ქართველთ წა (წმიდა) იოანე მახარებლის მმობისგან. ათონის მთა წმიდიდგან. 1904 წ.“

ხატის ზურგზე გაკეთებული კიდევ ერთი წარწერა გვატყობინებს, რომ იგი 1901 წელს დაიწერა ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწე ქართველი ბერების მიერ. 1904 წელს წმიდა იოანე მახარებლის მმობის ქართველმა ბერებმა წმიდა ღმრთისმშობლის ხატი საქართველოში გამოაგზავნეს.

იმ დროისათვის საქართველოს ეკლე-

სიის მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად იღვწოდა ქართული საზოგადოება, რომელიც კირიონ ეპისკოპოსის ირგვლივ ერთიანდებოდა. ამიტომ, ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწე ქართველი ბერები, 1904 წელს ორიოდის ეპარქიაში მყოფ კირიონს უგზავნიან წმიდა ღმრთისმშობლის ხატს. 1917 წელს კირიონ ეპის-

და აშიაზე, ორ სტრიქონად, სხვა ხელით, მხედრული დამწერლობით, ფანქრით შესრულებულია წარწერა:

„მამა ჩემი მამუკი დედა ანა

შემიწყალე დედაო დვთისა მაცხოვარისა ჩვენისა იესო ქრისტესო, მე მოღვაწი 23 წელი ამას მონასტერსა, არმაზ-ში, ვზიდე ზურგითა კირი, გაჯი, ფიცარი; ვაშენე კედლები, ბოსტანი, ფუტკარი 1901 წ დვინობისთვეს, 28 ამ რიცხვში, მაკურთხა კირიონ ეპისკოპოზმა მდვდელმონაზონათ მიწოდა სახელი მირიანი, ერის კაცობაში სახელი დავით და გვარი ბექაური

1917 წ.

შეეწიე მომავალ ქართველებს

არმაზის ღმრთისმშობელო, შენი ვარ. მირიანი“.


ივერიის ღმრთისმშობლის ხატი ჩასმულია ხისგან დამზადებულ კიოტში, რომლის ზომებია: 68X55X11.

ხატი დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის ისტორიის ფონდში, რომლის საინვენტარო ნომერია თსუმ-12138; სხ-244.

ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ იღია II-მ შემოწირა უნივერსიტეტს, კიდევ ერთგზის შეგვახსენებს მის სიტყვას, რომ „რწმენასთან შეერთებული ცოდნა და ჩვენი ეროვნული ფასეულობები გადაარჩენს საქართველოს“ (8 თებ. 2006 წ. წმ. სამების ლავრა).

ალექსანდრე მარუაშვილი

ისტ. მეცნ. აკადემიური დოქტორი



ხატის ზურგზე შესრულებული წარწერა

კოპოსი საქართველოში დაბრუნდა. ამის შემდეგ, ივერიის ღმრთისმშობლის ხატი, კარის პორტატისად წოდებული, არმაზის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარში მიუბრძანებიათ. აღნიშნული ტაძრის მდვდელ-მონაზონად, ჯერ კიდევ 1901 წელს კირიონ ეპისკოპოსს, მირიანი უკურთხებია, რასაც გვამცნობს ხატის ზურგზე – ხისგან გაკეთებულ სპეციალურ სამაგრზე შესრულებული წარწერა. ხატს ზედა დაქვედა მხარეს პორიზონტალურად გაუყვება ოთხ სტრიქონად, ხოლო სამაგრის ქვე-

DIRBIS RMRTISMOSBLIS MIZINEBIS MONASTERI



შიდა ქართლში, რუის-ურბნისის ეპარქიაში, მდებარეობს დირბის ღმრთისმშობლის მიძინების დედათა მონასტერი, რომელიც 2001 წლის 1 მაისს განახლდა მიტროპოლიტ იობის ლოცვა-კურთხევით. მონასტერთან ერთად განახლდა ტაძარიც, რომელიც X საუკუნისაა.

სოფელი დირბი, მონასტერთან ერთად, საისტორიო წყაროებში მოგვიანებით ჩანს. ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ წერს: „...დასავლით კიდესა არს დირბის მონასტერი, სადა ზის არქიმანდრიტი იერუსალემის ჯვრის მონასტრისა. არამედ მეფენი ქართლისანი დასმენ ქართველთა, და ყოველს საქართველოსა შინა არს მამული მისი, და პფლობს ესე, და მოსავალს გზანის ვერცხლად იერუსალემს“. დირბის მონასტერი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქი (მეტოქი – მონასტრის კუთვნილი დაქვემდებარებული ეკლესია მამულით) იყო. მეტოქის მიწაზე მოწეული მოსავალი საქართველოში იყიდებოდა, თანხა კი იერუსალიმში იგზავნებოდა.

წერილობითი წყაროების მიხედვით, დირბი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის და უფლის საფლავისათვის სვიმონ I-ს (1556-1569, 1578-1599 წწ.) შეუწირავს. საისტორიო ცენტრალური არქივის ფ. 1450 დავთარი 51/178 დაცულია მეტად საინტერესო დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, რომ

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს კვლავაც ცხოველი ურთიერთობა აქვს ჯვრის მონასტერთან და იერუსალიმის სევა ეკლესია-მონასტერებთან. ამ პერიოდისათვის იერუსალიმის ჯვრის მონასტერს კვლავაც აქვს საქართველოში მეტოქი ტაძრები, რომელთა შორისაც დირბის ღვთისმშობლის ტაძარიც მოიხსენიება.

ჯვრის იერუსალიმისათვის დირბის სოფლისა და მონასტრის პირველი შემწირველია სვიმონ I, რაც ჩვენ ხელთ არსებულ შემწირულობის სიგელშიც აღინიშნება. შემწირულობის სიგელი იწყება უფლისადმი სავედრებელი ლოცვით. შემდგომად ჩამოლოცვისა, გადმოცემულია მართლადმსარებლობის ზედმიწევნითი სწავლება; განდიდებულია წმიდა ქალაქი იერუსალიმი, სადაც მოდგაწეობდა და ივნო უფალმა იესო ქრისტემ.

„სახელითა არსება დაუბადებელისა, დაუსაბამოსა, დაუსრულებელისა, ღვთისა მამისა და თანა არსისა და თანასწორისა და თანა დაუსაბამოსა და თანა გამგებელისა ღვთისა ძისათა და ცხოველს მყოფელისა და ყოველთა წმიდა მყოფელისა სახიერისა ღვთისა სულისა წმიდათა, რომელთა იგი არცა ერთი რაი აქვს ურთიერთ არს განყოფილება თვითებასა შინა გვამთასა თვითიერ მიზეზისა... შეწევნითა და შუამდგომელობითა წმიდათა მდვდელთ მოძღვართა: წმიდისა ბასილი კესარიელისათა, გრიგოლი ღვთის მეტყველისათა, იოვანე ოქროპირისათა და ნიკოლაოზ საკვირველთ მოქმედისათა და ყოველთა წმიდათა მდდელთ მოძღვართა... რომელნი საუკუნითგან სათხოეუნეს უფალსა ჩუქნსა იესოს ქრისტეს და კვალადც სათხო ყოფად არიან ამა ყოველთა დირსთა და მართალთათა წმიდათა ღვთისათა თანამდგომარეობითა,

1. პუნქტუაცია გამართულია რედაქციის მიერ.

შეწევნითა და და შუამდგომელობითა ესე მტკიცე და უცუალებელი და ყოვლის ადამის ნათესავისაგან მოუტევარ მოსარჩლელი წიგნი, ნიშანი და სიგელი ვიგულვეთ და ვიგულისმოდგინეთ, გკადრეთ და მოგახსენეთ და შემოგწირეთ, თქვენ, სასოებასა და სიქადულსა ცხორებისა ჩვენისასა, ზღუდესა მტკიცესა და მფარველსა ყოველთა შენდა მილტოლვილთასა სახსარსა და სალხინებელსა ყოველთა ცოდვილთ-

და მსაჯულსა ქვრივთასა, მეფეთა მამხილებელსა და უბრალოდ სიკვდილისაგან დამხსნელსა პყრობილთასა და განმანათლებელსა მირონ ქალაქისასა, თქუენ დიდსა საკვირველთმოქმედსა ნიკოლაოს ჩუენ თქუენ მიერ გვირგვინოსანმან და შენ მიერ დამყარებულმან იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატოვანის ყოვლისა აღმოსავლეთისა და საქართველოისა თვითმპყრობელ მქონებელის მეფეთ-მეფი-



დირბის მონასტრის ფრესკა. მუცლადლებული დვთისმშობელი

ასა, ძლიერსა და უძლეველსა პატიოსანსა და ცხოველმყოფელსა საფლავსა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და პატიოსანსა ტაძარსა თქვენსა და მონასტერსა წმიდასა ქალაქსა იერუსალემსა და წმიდასა გოლგოთასა, სადა დადგეს ფერხნი უბიწონი მხესნელისა ჩვენისანი და რომელსა ზედა დაითხა სისხლი და წყალი გარდმოსული გუერდისაგან საუფლოსა და თქვენ დიდსა მღუდელთმოძღვარსა წუალებათა აღმომფხურელსა და მქადაგებელსა მართლისა სარწმუნოებისასა, მწყემსსა მწყემსთასა და მოძღვარსა ყოველთა ქრისტიანეთასა, საფუძველსა ყოველთა მართლმადიდებელთასა, საღვთოთა სწავლათა თვალსა და სამკაულსა ყოვლისა სოფლისასა, მამასა ობოლთასა

სა სვიმეონისა თანამეცხედრემან და მეფის ლეონის ასულმან დედოფალთ დედოფალმან, დედოფალმან ნესტანდარეჯან და ძეთა ჩუენთა სასურველთა პირმშომან პატრონმან გიორგი და პატრონმან ლუარსაბ და უმრწემესმან პატრონმან არსენი, ასრე და ამა პირსა ზედა ოდეს იგულვა და იგულისმოდგინა მეფეთ-მეფემან სვიმეონ და შემოსწირა სოფელი დირბი წმიდასა და განმაცხოველებელსა ჯვარის მონასტერსა და ცხოველსმყოფელსა ადსადგომელსა საფლავსა უფლისასა და საუფლოთა სისხლთა მიერ მორწყულსა წმიდასა გოლგოთასა, ესრეთ, რომელ დირბის სამდებროს გამოსაღები ყიშტი ჩუენი იყო და თქვენი წმიდა მონასტერი წმიდის ნიკოლოზის სადედოფლო იყო და

ჩვენ გკადრეთ, შემოგწირეთ და მოგახსენეთ მცირე ესე შესაწირავი დირბის სამღებროს ყიშტი და ბეგარა; რაოდენიცა გამოვიდოდეს უკლებლად აიღებოდეს და წმიდასა და პატიოსანსა ტაძარსა წმიდისა ნიკოლოზისა წინაშე მიიღებოდეს და დედათა უფროსათ რაისასა მიერთმეოდეს და დეკენბრის ექუსსა წმინდანი პატიუნი ვინ გინდა ვინ იყუნენ, ჯუარის მამა და ერთობილნი კრებულნი ჩვენთვის უამსა სწირვიდენ და აღაპსა გარდაიხდიდნენ



ფრესკა. ზედა რეგისტრში: მართალი ანა,
ქვემოთ – მუცლადღებული ღვთისმშობელი

მეფეთ-მეფისა სვიმონისათვის და ჩვენის ცოდვილის სულისათვის და ამ აღაპს რაოდენიცა თეთრი გადარჩებოდეს, სამარადისოდ ჩვენთვის ერთი კანდელი ენთებოდეს ტაძარსა წმიდისა ნიკოლაოზისსა. შეიწირე, წმიდაო მდდელომოძღვარო ნიკოლაოზ, მცირე და კნინი ესე შესაწირავი ჩვენი და წარმართე და განაძლიერე მეფობა ჩვენი, აწ გვფუარევდ ორთავე შინა ცხორებათა... დაიწერა სიგელი ესე... მეფობისა ღვთის მოყვარისა მეფეთ მეფისა სვიმეონისსა [ლ.ა] თვესა ივლისსა.

ჩვენ, ლთივგვირგვინოსამან მეფეთმეფე-მან, პატრონმან გიორგიმ, ეს სიგელი გავსინ-ჯეთ და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად და სულისა ჩვენისა საოხად ჩვენცა

დავამტკიცეთ და ესეც მოგვახსენეს რა, დირბის სამღებრო შესაწირავს, რუისა და არადეთს, მღებარ არ ჯდომილაო. მოკითხული ვქენით და არ ჯდომილიყო და ცოტას ხანს უცოდინობით მდებართხუცეს დაესვა და აწე ისევ მომვშლევნებია და ჩვენი ბრძანება არის, ნურა მდებართუხუცესი ნურც რუის და ნურც არადეთს მდებარს ნუ დასვამ და რომელიც რიგი სიგელითა ამითა მონასტერში გარიგებულ იყოს და დებულ იყოს, ნუ მოშლიან და გარდიხდიდენ და ჩვენც მოგვიხსენებდენ. ჩართული გიორგი ესე ბრძანება ხელმწიფეთა ჩვენცა ასრე დაგვიმტკიცებია.

ადგილი ბეჭედისა სიძველით არ ჩანს.

ადგილი ბეჭედისა სვიმონ.

ჩვენ ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე მეორე ირაკლი მეფე საქართველოსი ამ გუჯარს ვამტკიცებ აპრილის კ ქსუ.

ადგილი ბეჭედისა მეფე ირაკლი.

ადგილი ბეჭედისა დედოფალი დარეჯან.“


როსტომ მეფეს (1632-1658 წწ.) და დედო-

ფალ მარიამს 1650 წელს სათარხნოს წიგნით განუახლებიათ დირბის მონასტრის იერუსალიმისადმი შეწირულობა, რის მიხედვითაც დირბი თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან იმ პირობით, რომ იერუსალიმისათვის ყოველწლიურად ექვსი ათასი თეთრი ეხადა. 1777 წლის 20 აპრილს ერეკლე II-ს დირბის მონასტრის შეუვალობა განუახლებია. XVII საუკუნის დამდეგიდან დირბს, ისევე როგორც სხვა მამულებს საქართველოში, იერუსალიმიდან ჩამოსული ბერძენი ჯვრის მამები მართავდნენ. მათ სამეურნეო ფუნქციის შესრულება და ყმა-მამულებიდან მიღებული მოსავლის გაყიდვა და იერუსალიმში ფულის გაგზავნა ევალებოდათ.

დირბის ღმრთისმშობლის მიძინების

ტაძარი, რომელსაც ხალხში „კუბოსა დვთისმშობელს“ ეძახდნენ, წარმოადგენს „ხალხური წრის“ სოფლის ეკლესიას.

დღეისათვის დირბის ტაძარი სამნავიანი შენობაა. თავდაპირველად, X საუკუნეში, ლეონ II-ის (957-967 წწ.) მეფობის დროს აშენდა დარბაზული ტიპის ეკლესია. შემდგომ, XIV – XVI საუკუნეებში ჩრდილოეთიდან, XVII საუკუნეში კი სამხრეთიდან ეკლესიას მინაშენები მიადგეს, ხოლო დარბაზული ნაგებობის ჩრდილოეთისა და სამხრეთ კედლებში ორი-ორი თაღი



დირბის მონასტრის
შეწირულობის სიგელი

გაჭრეს, რის გამოც ეკლესიამ სამნავიანი ბაზილიკის ფორმა მიიღო.

ეკლესიის საკურთხეველში XVII საუკუნის აგურის კანკელის მიღმა შემონახულია იშვიათი ფორმის ტრაპეზული - კედელში ჩამონაშარის მიერთებული ფორმის განვითარების უძველეს მაგალითის სახით. ტრაპეზული ფორმის განვითარების უძველეს მაგალითი არა არ არის ტრაპეზული ფორმის განვითარების უძველეს მაგალითი.

დირბის ეკლესიის ტრაპეზი ე. წ. მაგიდისებრი ტრაპეზების ჯგუფს განეკუთვნება (მაგიდის ფორმის ქვის უძრავი ტრაპეზი ლიტურგიკული დანიშნულების უძველესი ფორმა).

ეკლესიას ემიჯნება აგურით ნაგები გვიანი შუა საუკუნეების სამრეკლო და სასახლის ნანგრევები, აგრეთვე დასავლეთ ბექობზე მდებარეობს XVIII საუკუნის ციხის ნანგრევები. ციხე აგებულია რიყის ქვით კირდულაბზე.

2003 წელს დირბის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიას რესტავრაცია ჩაუტარდა. ტაძარში მოიხსნა ნალესი ფენა, რის შედაგადაც გამოჩნდა XIV საუკუნის უნიკალური ფრესკები.

დირბის ტაძრის მოხატულობა მიეკუთვნება კონსტანტინეპოლისა და თესალონიკში ჩამოყალიბებულ პალეოლოგოსთა სტილს. XIV საუკუნეში, როცა დირბის ღმრთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა იქმნება, ქართული სახელმწიფოს მდგომარეობა სრულიად განსხვავებულია, მონლოდების შემოსვებით წელში გატეხილი ქვეყანა ეროვნულ ტრადიციებს ვეღარ ავითარებს და იდებს პალეოლოგოსთა მხატვრულ სტილს. დირბის ეკლესიის მოხატულობა ადასტურებს პალეოლოგოსთა პირველხარისხოვანი ძეგლების საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელებას.

მხატვრობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ღმრთისმშობლის ცხოვრების ამსახველ ციკლს. მათ შორის უნიკალურია ფრესკა, რომელსაც „იოსების ყველერება“ ეწოდება და, რომელიც იშვიათად გამოისახებოდა არა მარტო ქართულ, არამედ, საერთოდ, ღმრთისმშობლის ცხოვრების ციკლის ამსახველ ძეგლებში. განსაკუთრებით საინტერესოა ფაქტი რეტარბით და დედობრივი სითბოთი და სიყვარულით სავსე „მუცლადღებული ღმრთისმშობელი“. ნალესი ფენის მოხსნისას პირველად სწორედ ღმრთისმშობლის ეს ფრესკა გამოჩნდა, თითქმის უკნებელი.

დირბის ღმრთისმშობელი უშვილოთა და ორსულთა შემწეა, ყოველ კეთილთხოვნათა მსწრაფლშემსმენელ სახელგანთქმულ ტაძარში შვილიერების მოსურნე მომლოცველები მოდიან.

შორენა გულიაშვილი

MZLE NISI JVARISAI

მოციქულთასწორ მეფე მირიანის ლოცვა



მცხეთა. ჯვრის მონასტერი

„...მაშინ განიზრახვიდა მეფე იგი ყოველსა მას ერსა თანა, ვითარმედ რომელსამე აღგილსა აღმართონ ჯუარი იგი. ხოლო კაცად-კაცადი იტყოდა, სადაცა ვის მარჯუე უჩნდა და ვერ სადა გამოარჩიეს. მას უამსა მირეან მეფე ილოცვიდა და იტყოდა: უფალო იესუ ქრისტე, რომელი გურამ ტყვესა მისგან და გუასწავეს მდდელთა მათ შენთა, შენ იესუ ქრისტე, რომელმან თავი თვისი დაიმდაბლე და ხატი მონისა შენისად შთაიც სიმდაბლითა შენითა, რომელი გარდამოპკედ წიაღთაგან მამისათა, რომელმან დაუტევენ ჩუქმოუს საყდარნი, უფლებანი და ძალნი და დაუმკდრე საშოსა ქალწულისა მარიამისსა, და მერმე ჯუარს-ეცუ პონტოელისა პილატეს ზე, დაეფალ გულსა ქუეყანისასა და ასდედეგ მესამესა დღესა და აღას-რულე ყოველი თქემული წინასწარმეტულთა, აპმაღლდი ზეცად და დაშვედ

მარჯუენით მამისა, და მერმე მოსვლად ხარ განშჯად ცხოველთა და მკუდართა, და დაგპტევე ნიში შჯულისა შენისად დასარდუეგელად უხილავთა მანქანებათა მტერისათა, ხოლო ჩუენ, მოშიშთა შენთა, მოგკლებიეს სასწაულად, რაოთა განვერნეთ პირსა ეშმაკისასა, რომლის-აგანცა-იგი წარტყუენულ ვიყვენით. ხოლო აწ შენ, უფალო დმერთო, მაცხოვარო ჩუენო, ინებე გამოცხადებად აღგილისა, რომელსა ზედა აღმართონ ნიში ჯუარისა შენისა, რაოთა იხილონ მოძულეთა შენთა და პრცხუენოდის, რამეთუ შენ, უფალი, შემეწიენ ჩუენ და ნუგეშინის-მეც ჩუენ. და ვითარცა დამწუხენდა, მას დამესა ჩუენებით დაადგრა ანგელოზი უფლისად მირიან მეფესა და უჩუენა მას ბორცვ ერთი არაგუსა წყალსა ზედა წიაღ კერძო, მახლობლად მცხეთასა. და პრქუა მას: ესე აღგილი გამოურჩევიეს დმერთსა და ამას ზედა აღმართე ნიში იგი იგი ჯუარისა. და ვითარცა განთენა, უთხრა მირეან მეფემან მღდელთა მათ ჩუენებად იგი ანგელოზისად მის და სიტყუადცა იგი ანგელოზისა, რომელსა ეტყოდა, უთხრა მათ და ყოველსა ერსა და ბორცვცა იგი უჩუენა მათ. ვითარცა ესმა ჩუენებად იგი და აღგილიცა იხილეს, სათხო უჩნდა ყოველსა მას ერსა ბორცვ იგი და სიხარულითა და გალობითა დიდითა ყოველთა ერთბამად აღიღეს ჯუარი იგი და აღმართეს ბორცუსა მას ზედა მდლც ნიში ჯუარისა მცხეთასა მახლობელად, მართლ წინაშე აღმოსავალით, დღესა კვრიაკესა, აღვსებისა შემდგომად ზატიკის-ზატიკისა.

და აღემართა ნიში ჯუარისად ქართლს შინა. მექსეულად მას უამსა შინა ყოველნი კერპნი, რომელნი იყვნეს საზღვართა ქართლისათა, დაეცნეს და შეიმუსრნეს და საკერპონიცა მათნი და-ვე-ირლუეს.“

„აღმართებად პატიოსნისა
ჯუარისად მცხეთას“
„კლარჯული მრავალთაგი,“
მეცნიერება. 1991 წელი.



უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის იდუმენია ქეთევანს უბოძა ხატი სახელწოდებით „იესო ქრისტე – დიდი მღვდელმთავარი“.




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის იდუმენია ქეთევანი, მონასტრის მგალობელთა გუნდი, მონასტრის შურნალ „მაყვლოვანის“ რედაქტორი მონოზონი ანა და სტიქაროსანი სოსო ელიზბარაშვილი.

უწმიდესის და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში განახლდა წმიდა გათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ I-ის და წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალის საფლავის ქვები.

ქვაზე კვეთა შეასრულეს მოქანდაკეებმა: გიორგი ლალიაშვილმა და პაატა გიგაურმა.







ფოტომასალის ავტორი: მონოზონი ნონა (ჯავაშვილი)

მონაცენის აღთქმა
კ ი თ ხ ე ბ ი დ ი გ ი ბ ი



უკავე მოსირებაზ წინაშე დევისა, გიორგი ხილვადო
და მოძიე ჩუქე ყოვლისა ქოძაღლებითა:
კონკა: რაიხათვის მოსირებაზ, მათ, უკავებოთ, წილას
ამას მისურდის შეწინასა და წმიდათა ამათ ქრისტეფორი?
მარჯა: მნებავ განმორებას ხოლოსაგან, ბაჭოსასთ მამათ.
კონკა: ნებითა შენისა დამის იქმნება ან გვითხვისაგან ამას სახესა
და წესის გუნდთა მონაცენითასა?
მარჯა: პე, დევისა ძლიოთა, ბაჭოსასთ მამათ.
წინამდებარებან: ხოლო რაემს აღტანხევის კეთილი და სანატრიკლი ესე
საქმე, უკავე გნებავ განმირებისა კეთილისა საქმისა,
შრომისა, პედენებისა და ტეკილისა განმირების.
კონკა: ნებითა გონიერი შენისა მოსირდა წინაშე უფლისა?
მარჯა: პე, დევისა ძლიოთა, ბაჭოსასთ მამათ.
კონკა: დაუავა ქარწეულებას შესის ყოვლისა გონიერია და სახოებია?
მარჯა: პე, დევისა ძლიოთა, ბაჭოსასთ მამათ.
კონკა: უხოველებას შეს შესის კიდე ხაკერძელე ბერი
მონაცენებას უფლისისასა, და კოუკერია ქსახტეს მიერ მმათასა?
მარჯა: პე, დევისა ძლიოთა, ბაჭოსასთ მამათ.
კონკა: დასიენა კოუკერია ქისისხისოვნებას, იწროებასა, ბოროტის
მარჯა დამირება შესკარებასა, ხასუევლისათვის ცათა?
მარჯა: პე, დევისა ძლიოთა, ბაჭოსასთ მამათ.